აგრეთვე შემოიყვანეს გარკვეული რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სარწყავი სისტემები და სხვა. მოხდა სასოფლო-სამეურნეო საინფორმაციო ცენტრების ფორმირება. ამ მხარდაჭერის შედეგად 2007 წელს ყურძნის წარმოება გაიზარდა. თუმცა ეს ღონისძიებები არ წარმოადგენდა მდგრადი პოლიტიკის მაგალითს გრძელვადიან პერსპექტივაში. შემდგომ პერიოდში ყურძნის წარმოება კვლავ შემცირდა.

ამ პრობლემებს ემატებოდა ისიც, რომ სახელმწიფო პოლიტიკა არ იძლეოდა სტიმულს ფერმების გამსხვილებისათვის. საგადასახადო კოდექსის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებული 5ჰა-ზე ნაკლები მიწა გათავისუფლებულია მიწის

გადასახადისგან, რაც აფერხებს მცირე მიწების გაერთიანებას კოოპერატივში, რადგან ამ შემთხვევაში მიწა დაიბეგრება. ამავდროულად, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი მიწოდება თავისუფლდება საშემოსავლო და მოგების გადასახადებისგან, თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი/მოგება არ აღემატება 200 000 ლარს. ეს ნორმაც არარენტაბელურს ხდის გაერთიანებას, ვინაიდან 200 000-ზე მეტი ბრუნვის შემთხვევაში გაერთიანება დაიბეგრება. ასევე თავისუფლდება პირველადი წარმოება დამატებული ღირებულების გადასახადისგან, მაგრამ თუ ორგანიზაცია ფერმერებისგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს შეიძენს მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით, მაშინ ის ავტომატურად ხდება დღგ-ს გადამხდელი. ასეთი პრაქტიკა აფერხებს დილერი ორგანიზაციებისა და სადისტრიბუციო კომპანიების მონაწილეობას. მეტიც, დაბალი საბაჟო გადასახადები ან სულაც ნულოვანი დაბეგვრა იაფ იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე საფრთხეს უქმნის ადგილობრივი პროდუქციის სიცოცხლისუნარიანობას და ზღუდავს ინვესტიციებს ამ სექტორში. [41]

2007-2009 წლებში ბიუჯეტში გაიზარდა აგრარული სფეროს დაფინანსების მოცულობა - განხორციელდა სასუქის და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პროგრამები. მაგრამ რეალურად ეს ზრდა უმნიშვნელო აღმოჩნდა მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის გათვალისწინებით და მკვეთრი, ხელშესახები შედეგი ვერ მოუტანა დარგს. მით უფრო, რომ მთავრობის პროგრამები და ინიციატივები, რომელიც ითვალისწინებდა ფერმერებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანების, უმნიშვნელო რაოდენობით საწვავისა და სასუქის მიწოდებას, უფრო მოკლევადიანი, პოლიტიკური ელფერი ჰქონდა და არ იყო დაფუძნებული გრძელვადიან მეცნიერულ გათვლებზე.

მაშინდელი მმართველი პარტიის 2008 წლის საარჩევნო პროგრამაში იყო დაპირება სოფლად 100 ახალი საწარმოს ამუშავებისა და 2000 სოფლის გაზიფიკაციის შესახებ. შემუშავდა ექსპორტზე ორიენტირებული ისეთი საქმიანობების დაფინანსების პროგრამა, როგორებიცაა: საკონსერვო პროდუქციის წარმოება, სოფლის მეურნეობაში პროდუქტის წარმოებისათვის აუცილებელი მოწყობილობების შექმნა და სხვ. ამ საწარმოების გაფართოებას სტიმული უნდა მიეცა ფერმერების

მიერ ნედლეულის მიწოდებისათვის. თუმცა აგვისტოს ომმა აღნიშნული პროგრამების განხორციელება შეუძლებელი გახდა და კიდევ ერთხელ მიაყენა სერიოზული დარტყმა ქართულ სოფლის მეურნეობას- დაიკარგა ახალი მიწები, დაუბინავებელი დარჩა მოსავალი და ქვეყანაში გაიზარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა.

2010 წელს მთავრობამ შემოიტანა ჰიბრიდული სიმინდის თესლი, თუმცა ესეც ქოტურად და შეუსწავლელად მოხდა-შესაბამისად პროექტი ჩაყარდა: მოსავალი იმაზე ბევრად ნაკლები მოვიდა, ვიდრე პროგნოზირებული იყო, გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში პროდუქციის ხარისხიც ძალიან დაბალი აღმოჩნდა.

2011 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობამ მიიღო “საქართველოს სტრატეგიული განვითარების “ათპუნქტიანი გეგმა” მოდერნიზაციისა და დასაქმებისათვის”. ამ დოკუმენტში 2011-2015 წლებში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს და მიზნებს შორის არის სოფლის მეურნეობის განვითარება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

2012 წლის მარტში შეიქმნა დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებდა ათი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის უპირატეს განვითარებას, ეფექტიანი, კონკურენტუნარიანი და მდგრადი აგროსასურსათო სექტორის ფორმირების გეგმას, რომელიც დაემყარებოდა საწარმოთა ღირებულებების ჯაჭვის განვითარების ერთიან კომპლექსს. [88] თუმცა გეგმა არ მოიცავდა სტრატეგიული ღონისძიებების გრაფიკს და იმ ინდიკატორებს, რომლის მიხედვით შეფასდება საინვესტიციო ხარჯები; ამასთან, ეს გეგმა არ იყო დაკავშირებული მთავრობის სხვა გეგმებთან (10-პუნქტიანი გეგმა, რეგიონული განვითარების სტრატეგია, სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP Action Plan) და სხვ.); განხორციელების თვალსაზრისით გაურკვეველი იყო თუ საიდან დაფინანსდებოდა, როგორ მოგვარდებოდა თესლების, შხამქიმიკატების და სხვა პრობლემები, რა ღონისძიებები იქნებოდა საჭირო იმისათვის, რომ ამუშავებულიყო სოფლად დაზღვევა ან ლიზინგი; როგორ შემცირდებოდა რისკები, როგორ მოახდენენ იმ მიწების რეგისტრაციას, რომელიც კონფლიქტური ტერიტორიების საზღვრებზეა და სხვ. შესაბამისად ვერ მოხერხდა გეგმის რეალობაში ეფექტიანი განხორციელება და ახალ ხელისუფლებას კვლავ უამრავი პრობლემა დახვდა მოსაგვარებელი.

დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად მუშაობენ სოფლის მეურნეობის პრობლემების გადასაჭრელად:

2012 წლის შემდეგ სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ათამდე პროექტი განახორციელა. წარმატებით მიმდინარეობს:

- „შელავათიანი აგროკრედიტის“,
- „გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების“,
- „აწარმოე საქართველოში“,
- „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის“,
- “აგრო დაზღვევა“ და
- „ვაშლისა და მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობის “ პროექტები.


სააგენტო ფერმერებს და სოფლის მეურნეობაში ჩართულ მეწარმეებს საშუალებას აძლევს იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით, გააუმჯობესონ სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესები. პროექტების ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში აშენდა ახალი და გადაიარაღდა არსებული საწარმოები, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები და დაიწყო ადგილობრივი პროდუქციის გადამამუშავება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ გრძელვადიან პროექტებს 2015 წელს ახალი პროგრამა „დანერგე მომავალი“ დაემატა. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურ გამოყენებას მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით.



## დიაგრამა 14

სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებების დინამიკა (მილიონი ლარი)



2014 წლის მანძილზე ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების ღირებულებამ შეადგინა 3.4 მლრდ ლარი, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავების შედეგად შეიქმნა 4.5 მლრდ ლარის ღირებულების პროდუქცია. აგრობიზნესის სექტორში პროდუქციის მთლიანი გამოშვება 10 %-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიურ მონაცემს, რაც ძირითადად გამოწვეულია გადამამუშავებელი სექტორის ზრდით, სადაც ზრდის მაჩვენებელი 13.8 %-ს შეადგენს, პირველადი პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი კი წინა წელთან შედარებით 5.2 %-ით გაიზარდა.

შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 2013-2014 წლებში გაცემულია 27 177 კრედიტი, მათ შორის, 2014 წელს გაცემულია 18 333 კრედიტი. 2013-2014 წლებში გაცემული სესხის თანხის ოდენობა შეადგენს 722,766,960 ლარს, მათ შორის, 2014 წელს გაცემულია 480,416,394 ლარი. 2013-2014 წლებში გაცემული შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის აქტიური პორტფელი 2014 წლის ბოლოს შეადგენს 475,599,914 ლარს. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროექტების ფარგლებში დაფინანსებულია 105 ახალი საწარმო. მათ შორის შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გახსნილია 89 ახალი საწარმო, 5 ახალი საწარმო გახსნილია პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში,

გადამამუშავებელ საწარმოთა თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში 11 საწარმო ექსპლოატაციაში შევა 2015 წელს.

ცხრილში ასახულია მე-2 და მე-3 კომპონენტში გაცემული სესხები:

**ცხრილი 1.1**

რეგიონი რაოდენობა თანხა, ლარი
თბილისი 161 22,064,841
აჭარა 66 5,656,602
გურია 102 7,932,461
იმერეთი 1,138 24,459,198
კახეთი 9,646 271,062,156
მცხეთა-მთიანეთი 280 7,244,402
რაჭა-ლეჩხუმი 14 1,863,514
სამეგრელო 595 25,439,378
სამცხე-ჯავახეთი 1,448 26,062,662
ქვემო ქართლი 5,406 104,005,889
შიდა ქართლი 2,756 65,340,685
<b>ჯამი 21,611 561,131,794</b>

2014 წელს პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში სოფლის მეურნეობის მიმართულებით გაფორმდა 9 შეთანხმება. სააგენტოს პარტნიორი ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების ჯამური ოდენობა შეადგენს 14,670,000 აშშ დოლარს. დამტკიცებული პროექტების რეგიონული დივერსიფიკაცია შემდგენიარად გამოიყურება:

- ქვემო ქართლი - 3 საწარმო;
- სამეგრელო- 3 საწარმო;
- კახეთი - 1 საწარმო;
- გურია - 1 საწარმო;
- აჭარა - 1 საწარმო;

დამტკიცებული პროექტების დარგობრივი დივერსიფიკაცია შემდგენიარად გამოიყურება:

- სასათბურე მეურნეობა - 2 საწარმო;
- თევზის ფქვილის და ზეთის წარმოება - 2 საწარმო;

- სახორცე ქათმის წარმოება- 1 საწარმო;
- რძის წარმოება- 1 საწარმო;
- ჩაის დაფასოება- 1 საწარმო;
- სოკოს წარმოება- 1 საწარმო;
- სამაცივრე/სასაწყობე მეურნეობა - 1 საწარმო;

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების პროექტის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი სექტორის დარგობრივი და გეოგრაფიული დივერსიფიკაცია;

- სასოფლო-სამეურნეო სექტორში დამატებითი ღირებულების შექმნის ხელშეწყობა;

- სოფლის მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში უფრო აქტიურად ჩართვის შედეგად, შემოსავლების ზრდა;

- პირველადი სასოფლო სამეურნეო წარმოების გაფართოების ხელშეწყობა;

ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი პროექტებიდან დამტკიცებულია 16, ჯამური ღირებულებით 11,703,238 აშშ დოლარი, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს - 4,681,295 აშშ დოლარს; 2014 წელს სულ გრანტის სახით გაცემულია 1,108,120 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

დამტკიცებული პროექტების რეგიონული დივერსიფიკაცია შემდგენაირად გამოიყურება:

- სამეგრელო ზემო სვანეთი - 8 ახალი საწარმო;
- მცხეთა-მთიანეთი - 2 ახალი საწარმო;
- გურია - 2 ახალი საწარმო;
- აჭარა - 1 ახალი საწარმო;
- იმერეთი - 1 ახალი საწარმო;
- რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი - 1 ახალი საწარმო;
- შიდა ქართლი - 1 ახალი საწარმო;
- კომბინირებული საკვების წარმოება - 1 ახალი საწარმო;

დამტკიცებული პროექტების დარგობრივი დივერსიფიკაცია შემდგენაირად გამოიყურება:

- ხილის გადამუშავება - 5 ახალი საწარმო;
- თხილის გადამუშავება - 4 ახალი საწარმო;
- თევზის გადამუშავება - 2 ახალი საწარმო;
- დაფნის გადამუშავება - 2 ახალი საწარმო;
- ჩაის გადამუშავება - 1 ახალი საწარმო;
- მარცვლეულის გადამუშავება - 1 ახალი საწარმო;

„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში, 757,145 ბენეფიციარმა მიიღო სასოფლო-სამეურნეო საქონლის სახით 51,895,536 ლარის ღირებულების სარგებელი და 18,059,387 ლარის ღირებულების ხვნის სამუშაოების მომსახურება. 2014 წლის პროექტის ფარგლებში მოხსნულმა მიწის ფართობმა შეადგინა 220,466 ჰა.

მოსალოდნელი და არსებული რისკების საფუძველზე, ხორციელდება ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პრევენციული და სალიკვიდაციო პროგრამები. 2014 წელს, წინა წლებთან შედარებით, საქართველოში ეპიზოოტიური მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, რაც განპირობებულია ცხოველთა განსაკუთრებით საშიშ დაავადებათა საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაციის მასშტაბურობის ზრდით.

ეტაპობრივად ინერგება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემები, რაც ხელს შეუწყობს ცხოველებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მართვას, მომხმარებლისათვის სარწმუნო ინფორმაციის მიწოდებას ცხოველური პროდუქტის წარმოშობისა და უვნებლობის შესახებ, ქვეყნის შიგნით პირუტყვის გადაადგილებასა და ექსპორტ-იმპორტზე ვეტერინარული კონტროლის განხორციელებას, საქონლის ხორციით ვაჭრობისას ეტიკეტირების, გამჭვირვალობისა და მიკვლევალობის უზრუნველყოფას, ასევე, სანაშენე საქმიანობის გაუმჯობესება-სრულყოფას. 2014 წელს იდენტიფიცირებულია 266 363 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

2014 წლის სექტემბერში, საქართველო გაწევრიანდა ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ევროპის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციაში (EPPO), რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ფიტოსანიტარიული დაცვის დონის ამაღლებას და ექსპორტს.

2014 წლიდან დაიწყო ვენახების კადასტრის მასშტაბური პროექტის განხორციელება, რომელიც ქვეყანაში მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს მოწესრიგებას ისახავს მიზნად. ვენახების კადასტრის პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს საქართველოს ვენახების სრული აღრიცხვა და რეგისტრაცია ნაკვეთების მიხედვით. კადასტრის მონაცემები განთავსდება სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში. საკადასტრო აზომვითი სამუშაოების პირველი ეტაპი უკვე დასრულდა რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის რეგიონში. ანალოგიური სამუშაოები გრძელდება კახეთის და საქართველოს მევენახეობის სხვა რეგიონებში. ვენახების კადასტრის მონაცემები გამოყენებული იქნება მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მონიტორინგისა და მევენახეობის ზონებისა და ქვეზონების საზღვრების დასაზუსტებლად.

2014 წელს ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, საქართველოში დასრულდა 34 პროექტი, რის შედეგადაც, საირიგაციო სერვისის მიწოდება შესაძლებელი გახდა დამატებით 23 647 ჰექტარ მიწის ფართობზე, სადრენაჟო მომსახურება კი, 7 033 ჰექტარზე.

2013 წლიდან, ხელისუფლების ხელშეწყობით, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესი დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს.

2014 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მიენიჭა 464 სუბიექტს; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანებულია 3450 მეპაიე (აქდან 783 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი); სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მობილიზებული კაპიტალის მოცულობა 7 666 559,5 ლარს აჭარბებს; 2014 წელს შემუშავდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სარეკომენდაციო წესდება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნის მსურველთათვის გამოიცა გზამკვლევი ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. 2014 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, 72 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივზე გადანაწილდა 207 მოტობლოკის კომპლექტი და 139 ხელის სათესი.

2014 წელს ლაბორატორიულ ქსელში განხორციელდა ფუნდამენტური ცვლილებები, მათ შორის: თბილისის სათავო ლაბორატორიამ მიიღო საერთაშორისო

აკრედიტაცია (ISO 17025), დაინერგა ISO 9001-ის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემა. პერსონალი უფლებამოსილი გახდა ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის ბიოუსაფრთხოების მე-3 დონეზე სამუშაოდ. ქვეყანაში პირველად დაინერგა ცხოველებში ტულარემიისა და ყირიმულ-კონგოური ცხელების დიაგნოსტიკა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა საკვების ექსპერტიზის განყოფილების მიერ წარმოებული სურსათისა და წყლის მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური კვლევების ჩამონათვალი; საბჭოთა სტანდარტებზე დაფუძნებული კვლევის მეთოდები (□□□□) ჩანაცვლდა საერთაშორისო სტანდარტებზე (ISO) დაფუძნებული მეთოდებით. მომზადდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფიტო-სანიტარული ლაბორატორიის კონცეფცია და პროექტი; დაიწყო ლაბორატორიის მშენებლობა. [90]

თეორიულად საქართველოში ყველფერია ძლიერი სოფლის მეურნეობის არსებობისთვის, ისტორიულადაც ხომ აგრარულ ქვეყნად ვითვლებოდით მუდამ. ქართული აგრარული სექტორის აქტივებია:

- სუფთა ეკოლოგიური გარემო,
- "ნასვენნი" და ნაყოფიერი მიწების დიდი მარაგი- ექსპერტის, აკადემიკოს პაატა კოლუაშვილის აზრით, თუკი მიწის დაუმუშავებლობისთვის მცირემიწიანი გლეხებიც დაიბეგრებიან, ეს იქნება კარგი გადაწყვეტილება. საქართველოში ისედაც ცოტა სახნავ-სათესი ფართობია და მისი მოცდენის დრო არ არის, განმარტავს ის. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, წელს 400,000 ჰა დამუშავდა, ხოლო 250,000 ჰა-მდე დაუმუშავებელია. [17]
- მრავალფეროვანი კლიმატური პირობები - საქართველოს მიწის ფონდის ვერტიკალური ზონალობა შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:
  - I ზონა (ზღვის დონიდან 250 მეტრამდე) – ამ მიწებზე უპირატესად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული კულტურები;
  - II ზონა (250-500 მ) – მეხადეობა-მეხოსტნეობის, მევენახეობის, ინტენსიური მეძინდვრეობის (ძირითადად სიმინდი) გავრცელების არეალი;
  - III ზონა (500-1000 მ) – ამ მიწებზე ძირითადად მოჰყავთ თავთავიანი კულტურები, ბუნებრივი საკვები სავარგულები, მისდევენ მეცხოველეობას;

IV ზონა (1000-1500 მ) – ასეთ მიწებზე ძირითადად განლაგებულია სათიბ-საძოვრები, მემინდვრეობა სუსტადაა განვითარებული;

V ზონა (1500-2000 მ) – ძირითადად სათიბ-საძოვრების არეალია;

VI ზონა (2000 მეტრის ზემოთ) – მიწათმოქმედება არ არსებობს. [40].

- თავისუფალი ბაზარი, მარტივი საგადასახადო კოდექსი, ხელსაყრელი გარემო ბიზნესის განვითარებისათვის. 2003 წლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ მკვეთრად შეამცირა გადასახადების რაოდენობა და დღეისათვის საქართველოს გააჩნია რეგიონში ყველაზე ლიბერალური საგადასახადო კოდექსი;
- იაფი ადგილობრივი მუშახელი;
- აზიაში კარგად ცნობილი ქართული ცხვარი და უნიკალური თუშური მატყლი;
- უნიკალური ქართული წყლები;
- ღვინის წარმოების საუკეთესო გარემო, უნიკალური ტრადიციები, მაღალი ხარისხის, ხელმისაწვდომი ნედლეული;
- მაღალი ხარისხის თხილის წარმოებისათვის საჭირო ეფექტიანი გარემო და სხვ.

აგრეთვე სხვა ისეთი მაღალხარისხოვანი პროდუქტების წარმოების პოტენციალი, რომელზეც საკმაოდ მაღალია მოთხოვნა სხვადასხვა საერთაშორისო ბაზრებზე. ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, დღესდღეობით სექტორი საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია, მაგრამ სახელმწიფო მხარდაჭრისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით დარგის რეაბილიტაციის შესაძლებლობა გაჩნდა. ახლა მთავარია სწორად მოვახდინოთ ბაზარზე ორიენტირება-გასაღების არხების დივერსიფიცირება და ახალი შესაძლებლობების სწორად გამოყენება.

### 13 ექსპორტზე ორიენტირებული ეფექტიანი აგრარული პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობებისა და პრობლემების მიმოხილვა

არსებობს სხვადასხვა შეხედულება იმის თაობაზე, თუ რომელი დაყოფაა უფრო მიზანშეწონილი და რეკომენდირებული ეკონომიკური პოლიტიკის სფეროებში. ვალტერ ოიკენის მიერ ეკონომიკური წესრიგისა და პროცესის პოლიტიკად დაყოფასთან ერთად ვხვდებით იან ტინბერგენის დაყოფას რაოდენობრივ და თვისებრივ ეკონომიკურ პოლიტიკად.

ნებისმიერმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, იქნება ის მაკროეკონომიკური თუ დარგობრივი, უნდა გააანალიზოს საკითხების 3 ძირითადი ტიპი:

1. რა მიზნებს ისახავს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა? რა მიზნები და მოტივები უდევს საფუძვლად ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციონირებას? რა წინაპირობები არსებობს სასურველი მდგომარეობის შესახებ? მოვლენების რა განვითარებაა სასურველი?
2. რას აკეთებს სახელმწიფო, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი? როგორია აქტუალური ეკონომიკური მდგომარეობა? რა პერსპექტივები იკვეთება? რა გადაწყვეტილებებს იღებს სახელმწიფო და რატომ?
3. რა საშუალებებს(ინსტრუმენტებს) იყენებს სახელმწიფო მიზნის რეალიზაციისათვის? რა საშუალებები არსებობს ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად? რა ეფექტი მოაქვს დაგეგმილ ღონისძიებებს და რა შედეგი მიიღწევა, თუ არაფერი მოხდება? არსებობს ოპტიმალური მიზანი და მისი მიღწევის საშუალებებს შორის კავშირი? რომელი საშუალება როდის და რა ზომით უნდა გამოვიყენოთ? [8]

მოცემულ პარაგრაფში განვიხილავთ სწორედ იმ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც უნდა გახდეს საქართველოს აგრარული პოლიტიკის უპირველესი მიზანი.

საქართველო რეალურად მცირემიწიანი ქვეყანაა, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს მკვეთრად დანაწევრებული ისედაც მცირე მიწათმოქმედების ფონდი. მიწა სოფლის მეურნეობაში ძირითადი "კაპიტალი" და ხშირ შემთხვევაში წარმოების ერთადერთი



საშუალებაა. სწორედ ამიტომ სხვადასხვა ტერიტორიასა და ბუნებრივ-კლიმატურ სექტორში განლაგებულ წარმოებას განსხვავებული სტრუქტურა და განვითარების პოტენციალი გააჩნია. გარდა ამისა, დიდ როლს თამაშობს ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორცაა:

- კვლავწარმოების ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება;
- საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმათა მრავალფეროვნება;
- საიჯარო ურთიერთობების არსებობა;
- სოფლის მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური არაერთგვაროვნება;
- ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის განსხვავებული მიდგომა განსხვავებულ რეგიონებში, რათა მოხდეს არსებული რესურსის ეფექტიანად გამოყენება და უკუგების ამაღლება.

დასმული ამოცანის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ სწორად ორგანიზებული და სოფლის მეურნეობაში ეფექტიანი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების დანერგვითა და მათი ინტენსიური წარმოების სამსახურში ჩაყენებით.

წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ არაეფექტიან, მხოლოდ შიგა მეურნეობისათვის განკუთვნილი აგრარული წარმოებისათვის თანხის ხარჯვას მუდმივ რეჟიმში, რაც დიდ ტვირთად დააწვება ქვეყნის ბიუჯეტს და მხოლოდ სოციალური ეფექტის მატარებელი იქნება. რაც არაეფექტიანი იქნება და სიღარიბის დაძლევის მიზანსაც კი ვერ შეასრულებს, არა თუ სოფლად და ქალაქად ცხოვრების დონის გათანაბრებას ან აგრარული სფეროს ეფექტიან და მოგების მომტან დარგად გარდაქმნის შესაძლებლობას ვერ შექმნის.

სოფლის მეურნეობაში წარმოშობილ პრობლემებს ქართველი ეკონომისტები რამდენიმე ნაწილად ყოფენ:

**1. კაპიტალის ნაკლებობა:**

- მცირემიწიანობა- გამოყენების თვალსაზრისით საქართველოს ტერიტორია შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს:

1. სამიწათმოქმედო ტერიტორია – 15.8%;


2. ბუნებრივ-სამეურნეო ფართობი (ტყე, ბუჩქნარი, სათიბ-საძოვრები) – 70.6%;
3. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მიწა – 13.6%.

სოფლის მეურნეობის მიწის ფართობი (მათ შორის საძოვრები და მდელოები) მთლიანი ფართობის 44%-ს შეადგენს. მიწის რესურსების ნაწილი – 763.0 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული – დღეს კერძო საკუთრებაშია. აღნიშნული მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით განსხვავებულია, კერძოდ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არის კახეთის (154.1 ათასი ჰექტარი), ქვემო ქართლის (158.7 ათასი ჰექტარი) და სამეგრელო-ზემოსვანეთის (106.8 ათასი ჰექტარი) რეგიონებში. კახეთში პრივატიზებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25.6%, შიგა ქართლში – 27.7%, ქვემო ქართლში – 15.6%, სამცხე-ჯავახეთში – 17.6%, აჭარაში – 21.0%, გურიაში – 51.8%, სამეგრელო-ზემოსვანეთში – 38.2%, იმერეთში – 51.7%, რაჭა-ლეჩხუმში – 31.2%. მიწის ნაკვეთების ზომა საშუალოდ 1.22 ჰა-ია. მათი უმეტესობა წარმოდგენილია 0.45 ჰა ფართობის მქონე 2-3 მიწის ნაკვეთად. გურიის მხარეში და აჭარაში კი ნაკვეთების საშუალო ზომა 0.6-0.7 ჰექტარია, წარმოებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება და ბაზარზე პროდუქციის მხოლოდ 30-35% მიეწოდება. ასეთ პირობებში, ცხადია, ვერ განხორციელდება წარმოების მასშტაბზე ყურადღების გამახვილება, შეუძლებელია პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა, ნიადაგების დაცვის ღონისძიებების ჩატარება და სხვ. ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ საკმაოდ გართულდება კონკურენციულ ბრძოლაში ჩართვა და უპირატესობის მოპოვება. მიწების სამეურნეო პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას და საერთოდ საბაზრო ურთიერთობათა განვითარებას ძალზე ზღუდავს ის ფაქტი, რომ არ არსებობს მიწის ბაზარი. [49]


- გლეხს და მცირე მეწარმეს არ აქვთ საკმარისი ფულადი სახსრები (საბრუნავი ან საწყისი კაპიტალი), რათა უზრუნველყონ მიწის ხარისხიანად დამუშავება, სასუქისა თუ დამცავი საშუალებების შეძენა; უხვი მოსავლის მისაღებად და გასასაღებლად საჭირო სხვა აქტივობების განხორციელება.

- ქართული სოფლის მეურნეობის სექტორი ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდა მსხვილი უცხოელი ინვესტორებისთვისაც, ამ სექტორში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები არ აღემატება მთლიანი უცხოური ინვესტიციების 1%-ს.[43]


დიაგრამა 1.5 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სექტორების მიხედვით



დიაგრამა 1.6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სექტორების მიხედვით



დიაგრამა 1.7 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სექტორების მიხედვით



ციფრობრივ მაჩვენებელში კი ცხრილი ასე გამოიყურება:  
**ცხრილი 1.2**

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით								
ათასი აშშ დოლარი								
	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014*
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	15 527,9	7 844,3	22 326,9	8 631,9	14 907,6	16 119,3	11 857,4	19 090,6
სამთომოპოვებითი მრეწველობა	86 170,0	18 105,2	15 023,4	53 435,9	40 219,6	4 862,2	43 704,9	48 416,5
დამამუშავებელი მრეწველობა	312 070,9	188 287,8	124 781,7	175 334,5	120 339,7	167 906,5	99 765,1	174 046,0
ენერჯეტიკა	362 581,1	294 864,8	-2 130,6	21 877,9	203 951,6	179 402,6	244 745,1	98 740,2
მშენებლობა	171 891,8	56 725,3	105 218,8	4 705,9	48 112,2	41 839,2	49 847,5	294 966,1
სასტუმროები და რესტორნები	242 075,9	181 939,2	37 542,3	17 121,8	22 705,6	17 652,3	-13 360,1	39 678,2
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	416 694,7	422 690,0	98 432,0	215 116,2	126 517,2	72 828,9	140 104,4	343 438,2
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	458,3	550,6	289,1	1 182,4	16 827,0	17 550,8	720,0	667,9
უძრავი ქონება	30 543,9	277 837,7	147 410,3	119 253,0	224 776,3	52 805,6	42 294,6	87 035,4
საფინანსო სექტორი	157 723,1	10 891,7	49 663,4	107 406,4	167 701,8	162 552,2	166 386,3	78 056,9
დანარჩენი სექტორები	219 104,1	104 225,8	59 843,3	90 430,7	131 185,5	178 044,8	155 837,4	88 316,2
<b>სულ</b>	<b>2 014 841,6</b>	<b>1 563 962,4</b>	<b>658 400,6</b>	<b>814 496,6</b>	<b>1 117 244,1</b>	<b>911 564,3</b>	<b>941 902,6</b>	<b>1 272 452,0</b>

\* წინასწარი მონაცემი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

[http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=139&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo)

- რთულია აგრეთვე მიზნობრივი სესხის აღებაც, ბანკები მაქსიმალურად არიდებენ თავს აგრო –სესხის დამტკიცებას (მაღალი რისკუაქტორის გამო) და დამტკიცების შემთხვევაშიც საკმაოდ მაღალია სესხის პროცენტი. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ განხორციელებული ბიზნეს-გარემოს კვლევის მიხედვით, გამოკითხული 1000

საწარმოდან მხოლოდ 344-მა შეძლო დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა, მაშინ, როდესაც შესწავლილ საწარმოთა 58% გაყიდვების ზრდის ძირითად შესაძლებლობად ფინანსური რესურსების მოზიდვას ასახელებს. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ბოლო პერიოდში საწარმოთა 73.2%-ის შემოსავლები შემცირებულია, მათგან 29.6%-თვის საგრძნობლად არის შემცირებული. იგივე შემოსავლები მხოლოდ საწარმოთა 19.6%-ს დარჩა.[25]. ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა, იაფი კრედიტის ხელმისაწვდომობის სახით, განხორციელდა კიდევ. თუმცა მაინც არსებობს სირთულეები. კერძოდ- ბანკები ითხოვენ საგარანტიო უზრუნველყოფას, მიწა და თუნდაც სახლები კი რეგიონში არასაკმარისად ლიკვიდურია და მათ გირაოდ ბანკი არ იღებს. თუმცა ბევრმა ისარგებლა ამ შეთავაზებით და უკვე არსებულ საწარმოებს განვითარების უკეთესი შესაძლებლობები მიეცათ.

- მნიშვნელოვანი პრობლემაა აგრეთვე დაზღვევის არ ქონა. 2014 წლამდე ქართულ სადაზღვევო სივრცეში პრაქტიკულად არ არსებობდა აგრო პროდუქტი. 2014 წელს დაიწყო აგრო-დაზღვევის საპილოტე პროგრამის განხორციელება. სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა და მისი ამოქმედება, მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან 70-დან 90 პროცენტამდე თანადაფინანსების შემდეგ გახდა შესაძლებელი. თუმცა, როგორც ყველაფერი ახლის მიმართ, ამ პროდუქტსაც საკმაოდ უნდობლად უყურებენ საქართველოში. საპილოტე პროგრამაში მხოლოდ ორი სადაზღვევო კომპანიაა ჩართული და როგორც იქ ამბობენ, მცირე ფერმერები და გლეხები დიდ დაინტერესებას აღნიშნული პროდუქტის მიმართ არ იჩენენ.

## 2. პროფესიონალი კადრების არ არსებობა:

- სამწუხაროდ დღეისათვის აგრო-სექტორი მნიშვნელოვნად განიცდის პროფესიონალთა ნაკლებობას. დაიკარგა ან დაძველდა (ახალი ტექნოლოგიების, ახალი ტიპის თესლის და ნერგების, განსხვავებული სასათბურე მეურნეობების შექმნის გამო) ის ცოდნა-გამოცდილება, რაც დაგროვილი იყო ისტორიულად აგრონომიული ქვეყნის მოსახლეობაში. რეალურად კი ბაზარი განიცდის პროფესიონალი აგრონომების, მეხილეებისა და მეღვინეების დეფიციტს - ფაქტობრივად, ყველა ძველი

სასოფლო-სამეურნეო პროფსასწავლებელი გაჩერდა ან დაიხურა. ეროვნულ სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტს არასაკმარისი დაფინანსება და მოწყობილობები აქვს. მართალია, დაწყებულია მოძრაობა სასოფლო-სამეურნეო საგნების საშუალო სკოლაში სწავლების მიმართულებით და არსებობს პროფესიული განათლების და გადამზადების სკოლები, სადაც ისწავლება სოფლის მეურნეობა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ან ჯერ არ არის იმდენი ხანი, რაც ფუნქციობს, რომ არსებითი სარგებელი მოუტანოს სოფლის მეურნეობას;

- მნიშვნელოვანია ისიც, რომ აგრო-სექტორში (ნებისმიერ სფეროში) დასაქმებულთა ხელფასი საგრძნობლად დაბალია და 30-40% ჩამორჩება ეკონომიკის სხვა დარგებში დასაქმებულთა ხელფასებს, რომ არაფერი ვთქვათ, დასაქმების სეზონურობაზე. ამ პირობებში კი ფაქტიურად შეუძლებელია კვალიფიციური კადრის მომზადება;

### 3. წარმოების(ტექნიკური) პრობლემები:

- მნიშვნელოვანი პრობლემაა სარწყავი სისტემების არარსებობა, რაც გამოუსადეგარად აქცევს ნაყოფიერი მიწების დიდ ფართობებს. წინათ არსებული ქსელი უკვე მრავალი წელია ამორტიზებულია და გამოუსადეგარია, მისი რეაბილიტაცია კი კოლოსალურ თანხებს მოითხოვს, რაც არა თუ კონკრეტული გლეხის ან თემისათვის, სახელმწიფოსთვისაც კი მძიმე პრობლემაა;
- საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა მიწის დასამუშავებლად საჭირო ტექნიკის ქირაობაც, ამასთანავე ხშირია შემთხვევები, როცა გლეხი ვერ ახერხებს მიწის დროულად დამუშავებას ან მოსავლის საჭირო დროს აღებას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობის გამო;
- დღეისათვის განსაკუთრებით მწვავედ დგას საძოვრების პრობლემაც, მით უფრო, რომ ქართული ცხვარი ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიაში. ფაქტიურად მოხსნილია ყველაზე დიდი-გასაღების პრობლემა, მაგრამ არასაკმარისი ინფრასტრუქტურის და მატერიალური სახსრების სიმცირის გამო ვერ

ხერხდება წარმოების გაზრდა, ბაზრის განვითარება და მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება;

- განუვითარებელი ინფრასტრუქტურაც წარმოების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია. სოფლის გზების 55%-ს საფარი არ აქვს, ხოლო საფარიანი გზების დაახლოებით 50% ცუდ ან ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. აღნიშნულის გამო, ექსპერტული შეფასებით ამ გზებით მოსარგებლე წარმოებისა და მოსახლეობის დანახარჯები მნიშვნელოვნად იზრდება;

#### 4. მარკეტინგული პრობლემები:

- ინდივიდუალურად, გლეხის მიერ მცირე მიწაზე, არათანამედროვე მეთოდებით წარმოებული პროდუქტი გაცილებით ძვირი და არაკონკურენტუნარიანია იაფ იმპორტულ საკვებთან შედარებით;
- მცირე მეწარმეები და გლეხები ვერ ახერხებენ საკუთარი მოსავლის რეალიზებას, მათ არ აქვთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, აგრეთვე არ გააჩნიათ საკმარისი ფულადი სახსრები, რათა მოახდინონ ბაზარზე მათი საქონლის (რომელიც ისედაც ძვირია და ნაკლებად კონკურენტუნარიანი, როგორც აღვნიშნეთ) მიწოდება;
- უმეტეს შემთხვევაში მათ დასასაწყობებლად და შესანახად საჭირო აღჭურვილობაც კი არ აქვთ, ამიტომ სოფლად მცხოვრებთა უმეტესობა მხოლოდ მცირე რაოდენობით მოსავალს მოიწევს, რაც ხშირ შემთხვევაში მათი პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც არაა საკმარისი;
- საბაზრო მოთხოვნების ფაქტიური არ ცოდნა და კონკურენტული პროდუქციის რეალური პარამეტრების არ ქონა:

მეცნიერებმა კონკურენცია უკვე განიხილეს არა როგორც სიტუაცია, არამედ როგორც პროცესი. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა კონკურენციის არსის ახსნაში. კონკურენტულ ბრძოლაში გადამწყვეტი გახდა ცოდნა. ერთი მხრივ, ადამიანები ღებულობენ ცოდნას, მეორე მხრივ, გადასცემენ და ეფექტიანად იყენებენ „გაბნეულ ცოდნას“. ცოდნის საშუალებით მწარმოებლები გამოავლენენ ახალ მოთხოვნილებებს,



ხოლო მომხმარებლები მათი დაკმაყოფილების საშუალებებს. საზოგადოების ხელმისაწვდომობა ცოდნაზე წარმოებს აიძულებს სიახლეების დანერგვას. კონკურენციის ქმედითუნარიანობით იზრდება საზოგადოების კეთილდღეობის ეფექტები: მწარმოებლები აღწევენ მოგების მაქსიმიზაციას, ხოლო მომხმარებლები პროდუქტზე ფასების შემცირებასა და ხარისხის გაუმჯობესებას. [34]

პროდუქტის კონკურენტუნარიანობა, უმეტესად, სამომხმარებლო ღირებულების თვალსაზრისით არის წარმოდგენილი. რაც უფრო მაღალია სამომხმარებლო მახასიათებლები და დაბალია პროდუქტის ფასი, მით მაღალია კონკურენტუნარიანობა. პროდუქტის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისათვის მკვლევარები პირველხარისხოვან მნიშვნელობას ფასსა და ხარისხის პარამეტრებს მიაკუთვნებენ.


შეუძლებელია დღეს ფირმის კონკურენტუნარიანობა რომელიმე ერთი პარამეტრით განისაზღვროს, ის მრავალი ფაქტორის ურთიერთხემოქმედების შედეგია, ხოლო თითოეული მათგანი კონკრეტულ სიტუაციაში უნიკალურია. რიგ შემთხვევებში ამა თუ იმ ფაქტორს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, თუმცა, ეს არ შეიძლება იყოს მისი კომპლექსურობის მიხედვის საფუძველი. დღეს კონკურენტუნარიანობა მხოლოდ ყველა ფაქტორისა და პარამეტრის ეფექტიანად შერწყმის შემთხვევაში მიიღწევა.

ამ მოსაზრების გათვალისწინებით საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის სრულყოფილ თეორიად აღიარებულია მ. პორტერის თეორია. სხვა განხილულ თეორიებთან შედარებით მ. პორტერის კონცეფციის უპირატესობა განპირობებულია იმით, რომ კონკურენტუნარიანობაში ასახულია რესურსების ეფექტიანი გამოყენება. ეს პრინციპი სამართლიანია, როგორც ქვეყნის ეკონომიკის, ასევე, ფირმის დონეზე.

მ. პორტერი, განიხილავს რა ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა სამუშაო ძალა, ბუნებრივი რესურსები, მთავრობის პროტექციონისტული პოლიტიკა, განსხვავებანი საწარმოთა მენეჯმენტში და სხვა, მიდის დასკვნამდე, რომ

არცერთი მათგანი, ცალკე აღებული, არ იძლევა საშუალებას დამაჯერებელი პასუხი მივიღოთ კითხვაზე: რა განსაზღვრავს ფირმის (პროდუქტის) კონკურენტუნარიანობას? [68]

დიაგრამა 1.8 პროდუქტის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი მაჩვენებლების კლასიფიკაცია



ამრიგად, კონკურენტუნარიანობა შეფასებულია, როგორც ფირმის, ასევე სექტორის და ეროვნული ეკონომიკის დონეზე.

სექტორი კონკურენტუნარიანია თუ მას შეუძლია შეინარჩუნოს ბაზრის წილები შიგა და საერთაშორისო ბაზრებზე“.

„ეროვნული ეკონომიკა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობით ხასიათდება, თუ მას შეუძლია ხანგრძლივი დროის მანძილზე შეინარჩუნოს თავისი ექპორტების წილი საერთაშორისო ბაზრებზე“[27]

მკვლევარები დ. საქსი, ა. ჰარტი, ს. კოენი, ჯ. ჰარელი და სხვები ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განსხვავებული მიდგომით განიხილავენ, თუმცა ყველა მათგანის მიერ კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმები საზოგადოების კეთილდღეობის თვალთახედვით არის შეფასებული.

დ. საქსი და ა. ჰარტი მიიჩნევენ, რომ „ეკონომიკა მსოფლიოში კონკურენტუნარიანია, თუ ეკონომიკური ინსტიტუტები და ქვეყნის პოლიტიკა უზრუნველყოფს მყარ და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას“[28]

„თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ბაზრის პირობებში, მსოფლიო ბაზრების მოთხოვნილებათა შესატყვისად, ქვეყნის საქონლის წარმოებისა და მომსახურების შესაძლებლობათა ხარისხი და ამავდროულად, თავიანთი მოქალაქეების რეალური შემოსავლების შენარჩუნება ან ამაღლება“ – ამგვარად არის ქვეყნის კონკურენტუნარიანობა განსაზღვრული მ. კოენისა და ე. ზისმანის მიერ. [29]

ზოგიერთი მოსაზრება ერთობლივად ქვეყნისა და რეგიონის კონკურენტუნარიანობის შემცველია და შესაბამისად მიჩნეულია, რომ რეგიონის, ქვეყნის ან მეზობელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობა არის შესაძლებლობა საერთაშორისო კონკურენციის პირობებში აწარმოოს პროდუქტი და მომსახურება, და ამავდროულად, შეინარჩუნოს და გააფართოვოს მოქალაქეთა რეალური შემოსავალი და დასაქმება ხანგრძლივი დროის მანძილზე.[30]

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობის განსაზღვრის დროს მთავარი ყურადღება კონკურენციის კრიტერიუმთა განხილვაზე ასევე, ქვეყნის მასშტაბით საზოგადოების განვითარების პოზიტიური შედეგების უზრუნველყოფის მიმართულებით არის გამახვილებული.

ამ ჰიპოთეზის მიხედვით ეკონომიკა კონკურენტუნარიანად ითვლება, თუ ეკონომიკური ინსტიტუტები და პოლიტიკა უზრუნველყოფენ მდგრად და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. მაშასადამე, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა განსაზღვრულია როგორც ეკონომიკის პერსპექტიული განვითარება, ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით.[32]

კონკურენტუნარიანობის ფორმირების სტადიებს მ. პორტერი განიხილავს

- წარმოების ფაქტორთა,
- ინვესტიციების,
- ინოვაციისა და
- სიმდიდრის

ანალიზის საფუძველზე.

ამასთან პირველი სამი ეკონომიკურ ზრდას უკავშირდება, ხოლო მეოთხე-დაცემას. ზოგიერთი მეცნიერი დამატებით ინფრასტრუქტურულ და ინფორმაციულ სტადიებსაც განიხილავს. ამასთან, ინფრასტრუქტურული სტადია შეფასებულია, როგორც ინოვაციურის წინმსწრები.

კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ყველაზე ტიპურ ნოვაციად ითვლება ახალი ტექნოლოგიები, მყიდველთა ახალი ან შეცვლილი მოთხოვნა, დარგის ახალი სეგმენტის გამოჩენა, ღირებულებებისა და წარმოების კომპონენტთა, სახელმწიფო რეგულირების ცვლილება. [68]

დღეს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მიღწევის აღიარებულ კონცეფციად ითვლება ფაქტორთა დეტერმინანტებზე დამოკიდებულების პრობლემის შესწავლა. ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ფაქტორთა შეფასება (იგულისხმება ძირითადი და განვითარებული ფაქტორები) უფრო მნიშვნელოვანია კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად. ასეთი ფაქტორები ყოველთვის მემკვიდრეობით არ გადმოდის, არამედ ქვეყანაში სხვადასხვა პროცესთა ზეგავლენით იქმნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებითი როლი ენიჭება იმ პროცესთა სტიმულირებას, რომლებიც კონკურენტული უპირატესობის მიღწევას ფაქტორთა გამოყენებით უზრუნველყოფენ. ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები, კონკურენტული უპირატესობის

დეტერმინანტები და ფაქტორების ფორმირების პრობლემები სხვადასხვა ჭრილშია შესწავლილი.

მკვლევარ მეცნიერთა მიერ აღიარებულია, რომ პოსტკომუნისტური ეკონომიკა შედგება ნეკროეკონომიკისა და ვიტაეკონომიკის ჯგუფებისაგან, ხოლო ნეკროეკონომიკა სახელმწიფო სექტორში, თავის მხრივ, მოიცავს გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებს, რომლებიც წარმოებული პროდუქტების მიხედვით შეფასებულია როგორც სტრატეგიული, მაგრამ არაკონკურენტუნარიანი.

კონკურენტუნარიანობისადმი მიძღვნილ ნაშრომებში კონკურენტუნარიანობის მიღწევა განიხილება არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენების, მწარმოებლურობის ამაღლების, შედარებითი უპირატესობების გამოვლენის უმთავრეს პირობად, ხოლო რეალური კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბების საფუძვლად მიჩნეულია თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი.[83]

ასევე, დასმულია საკითხი, რომ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საქართველოს ცალკეული რეგიონების მიხედვით კონკურენტული მახასიათებლების განსაზღვრას, შეფასების მეთოდის ჩამოყალიბებას კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების განხილვისას, კეთდება რა აქცენტი ფაქტორულ ანალიზზე, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებისა და შედარებითი უპირატესობის მოსაპოვებლად ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ფაქტორებსა და წყაროებზე:

- ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა;
- რესურსების არსებული პოტენციალი;
- კულტურული მემკვიდრეობა და ტრადიციები (ადამიანური, მატერიალური, სანედლეულო და ა.შ.);
- შრომისადმი და ბიზნესისადმი დამოკიდებულება,
- შრომის დისციპლინა;
- საგანმანათლებლო-სამეცნიერო პოტენციალი;
- პოლიტიკური წყობა და მართვის მეთოდები;
- ეკონომიკური განვითარების დონე და ა.შ.

მ. პორტერმა აჩვენა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებობენ კონკურენტუნარიანი ინდუსტრიათა ისეთი ჯგუფები, რომლებიც მცირე ტერიტორიული განვრცობის მიუხედავად მსოფლიო ბაზარზე ლიდერის პოზიციებს ინარჩუნებენ.

რეგიონულ კლასტერებზე დაფუძნებული ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის თეორიის შექმნით მ. პორტერმა დაასაბუთა, რომ კონკურენტული უპირატესობა დამოკიდებულია კლასტერებზე დამყარებულ რეგიონულ და ადგილობრივ ინოვაციურ სისტემებზე.[45]

პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა, თავის ნაშრომში- "კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში", განიხილა საქართველოში პოპულარული რამდენიმე დასახელების ბოსტნეულისა და ხილის კონკურენტული მახასიათებლები. იგი აღნიშნავს, რომ კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები გაიანგარიშა შემდეგ პროდუქტებზე: ღვინო, ალკოჰოლური სასმელები, თხილი, რძე, ხორბალი, ვაშლის წვენი. დასახელებული პროდუქტების მიხედვით კონკურენტუნარიანობის ინდექსები მკვეთრად დიფერენცირებული აღმოჩნდა:

ხორბლის ბაზრის განვითარებაში განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია სუბსიდირებას. საქართველოში მხოლოდ ამ გზით შეძლებენ ხორბლის მწარმოებელი და გადამამუშავებელი დარგები არსებობას და, მაშასადამე, მოსახლეობის ადგილობრივი წარმოების პროდუქტით მომარაგებას. ზოგადად ხორბლის წარმოების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელი მოთხოვნაა, რომ პროდუქტი მსოფლიო ბაზარზე იყოს კონკურენტუნარიანი. თუ ხორბალი კონკურენტუნარიანი არ არის, აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ხელოვნურად-სუბსიდირების გზით.

საქართველოში კარტოფილის წარმოება ძირითადად მაღალმთიან და მთაბორცვიან ზონებშია შესაძლებელი. თუ დარგი დაექვემდებარება გაძღოლის მაღალინტენსიურ სისტემას, მაშინ ზემოთ დასახელებულ ზონებში იგი მაპროფილებელ დარგად შეიძლება ჩამოყალიბდეს.

მებოსტნეობა საქართველოსათვის ერთ-ერთი უძველესი დარგია და ქვეყანაში მისი გაძღოლის ტრადიციული მეთოდები არსებობს. თუმცა, დარგის გაძღოლა სრულიად ახალ მიდგომას მოითხოვს. თუ დღეს ბოსტნეულის დიდი ნაწილი საშინაო ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხმარდება, საერთაშორისო ბაზრებზე

მოთხოვნისა და კონკურენტუნარიანობის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ამ პროდუქტის საქსპორტოდ წარმოებაც.

ქართული მწვანილის ძირითადი ბაზარი შეიძლება იყოს უკრაინა. დღეს ამ პროდუქტს უკრაინის ბაზრის 65-70% უჭირავს, თუმცა, ბაზარი მეტი რაოდენობის მწვანილის მისაღებადაც არის მზად. მწვანილის იმპორტის გაფართოება შეიძლება პოლონეთსა და გერმანიაში, უახლოეს მომავალში კი ჰოლანდიაშიც. მოსაფიქრებელია მწვანილის კონებად შეკვრის საკითხი, ასევე ეტიკეტის, ფირმის ლოგოს, საკონტაქტო რეკვიზიტების, პროდუქტის შტრიხ-კოდის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მოწესრიგება. ამგვარ ჭრილში პრობლემის გადაწყვეტა მწვანილს გაცილებით კონკურენტუნარიანს გახდის. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ევროპის მაღალსეგმენტიან ბაზარზე გასვლა და დამკვიდრება, გაიზრდება დასაქმების დონე და შესაბამისად განვითარდება მომიჯნავე სექტორები.

ჩატარებული გამოთვლების თანახმად, გამოვლენილი შედეგებითი უპირატესობის მიხედვით ქვეყანა კონკურენტუნარიანი შეიძლება გახდეს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებაში, რადგან ამ კულტურების განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური შესაძლებლობები არსებობს.[68]

საერთაშორისო ბაზრებზე გასასვლელად აგროსასურსათო პროდუქტები კონკურენტუნარიანი უნდა იყოს. კონკურენტუნარიანობის შეფასების საფუძველზე შესაძლებელი იქნება წარმოების დომინანტური მახასიათებლებისა და ბაზარზე გასვლის კონკურენტული პირობების განსაზღვრა.[71]

ექსპორტის შედეგებითი უპირატესობის ინდექსის (**RXA**) დადებითი მნიშვნელობები დაფიქსირდა კვლევისათვის შერჩეული ყველა პროდუქტის მიმართ. თუმცა ეს მაჩვენებელი შედეგებით მაღალი აღმოჩნდა თხილზე, ღვინოზე და ალკოჰოლურ სასმელებზე, ხოლო მნიშვნელოვნად დაბალი რძეზე და ხორბალზე.

იმპორტის შემოდწევალობის ინდექსის (**RMP**) მნიშვნელობებიც დიფერენცირებულია და ბოლო წლების მანძილზე შერჩეულ აგროსასურსათო პროდუქტებზე 0.1-დან 13.1-ის ფარგლებში მერყეობს.

პროდუქტების კონკურენტუნარიანობის ინდექსების დინამიკაში ანალიზმა აჩვენა, რომ ექსპორტის შედეგებითი უპირატესობის ინდექსი (**RXA**) გაიზარდა ღვინის,

ალკოჰოლური სასმელების, თხილის პროდუქტებზე; მათგან შოკური ზრდა დამახასიათებელია თხილისათვის. თუ 1992 წელს დასახელებული ინდექსი თხილზე 2.5-ს შეადგენდა, 2005 წლისათვის მან 525.2 შეადგინა. ინდექსი შემცირდა რძეზე (50.9–დან 0–მდე), ვაშლის წვენზე (26.3–დან 20.3–მდე), თითქმის უცვლელი დარჩა ხორბალზე; (იხ. დანართი 2)

იმპორტის შემოღწევადობის ინდექსი (*RMP*) გაიზარდა ალკოჰოლურ სასმელებზე (0.9–დან 2.3–მდე), ვაშლის წვენზე (0.1–დან 0.9–მდე), ხოლო შემცირდა რძეზე (11.6–დან 2.2–მდე), ხორბალზე (11.5–დან 9.6–მდე); უცვლელი დარჩა ღვინოზე. (იხ. დანართი 2).

ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (*RTA*) 2005 წლის მონაცემებით შეადგენს: თხილზე 522.1-ს, ღვინოზე 47.2-ს, ვაშლის წვენზე 19.4-ს, ალკოჰოლურ სასმელებზე 16.1-ს, ხორბალზე – 6.1-ს, რძეზე –2.2-ს. (იხ. დანართი 2).

ამრიგად, საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტებიდან საერთაშორისო ვაჭრობაში კონკურენტუნარიანობის შედარებით მაღალი დონით გამოირჩევა თხილი; ასევე კონკურენტუნარიანია ღვინო და ალკოჰოლური სასმელები, ხოლო ხორბალი და რძე არაკონკურენტუნარიანია.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ზოგადად აგროსასურსათო პროდუქტების უმეტესობისათვის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონეა დამახასიათებელი. სექტორისათვის თითქმის მიუღწეველია წარმოების მასშტაბზე შედარებითი ეკონომიის მიღების შესაძლებლობა. თუმცა ეს პრობლემა ზოგადად არის დამახასიათებელი მცირე ზომის ქვეყნებისათვის.[111]

აღნიშნული მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი გაიზარდა იმ პროდუქტებზე, რომელთა წარმოება-განვითარების სფეროში ჩართულია უცხოური ინვესტიციები, აგრეთვე ქართული აგრარული პროდუქტისათვის შედარებითი უპირატესობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაღალხარისხიანი და პრემიუმ სეგმენტზე გათვლილი პროდუქციის წარმოების შემთხვევაში.

**5. სოციალური პრობლემები:** ჩამონათვალში ბოლო ადგილზე სოციალური პრობლემა მოხვდა, თუმცა ვთვლი, რომ ეს სულაც არაა ყველაზე უმნიშვნელო, პირიქით, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა, რომლის აღიარებაც უბრალოდ ბევრს



ერიდება – ესაა მკვეთრი განსხვავება სოფლად და ქალაქად მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო პირობებში.

- დღეისათვის ქართული სოფლების უმეტესობას სტაბილურად არ მიეწოდება წყალი, არ გააჩნიათ გაზი და ხარვეზებია ელექტრო-ენერჯის მიწოდებაში... ხშირ შემთხვევაში არ არსებობს კაპიტალური გზა, გართულებულია პირველადი სამედიცინო მომსახურებაც კი.
- არათუ სოფლებში, მცირე დაბებსა და რაიონული ცენტრების უმეტესობაში არ არის ინტერნეტი, არ არსებობს კინო, თეატრი და კაფერესტორანი, კლუბი ან მსგავსი გასართობი დაწესებულება. ახალგაზრდებს პრაქტიკულად არ აქვთ თვითრეალიზაციის საშუალება. რაც უკარგავს მათ განვითარების ინტერესს, ისინი ეფლობიან ღოთობისა და ნარკომანიის ჭაობში, რაც მკვეთრად ამცირებს მათი სოციალიზაციის და წარმატებულ ფერმერად გახდომის შესაძლებლობას.

ყველა ზემოთხაზოთვლილ მიზეზთა გამო დღეს ქართული სოფლების დიდი ნაწილი დაცლილია და მოსახლეობა ქალაქში ეძებს შემოსავლის წყაროს.

ვფიქრობთ სახელმწიფომ უნდა მოახდინოს შემდეგი სფეროების სტიმულირება ან სუბსიდირება, რათა უშველოს ამ დარგს:

1. მცირე ფერმერების "გამსხვილება" ერთი ქოლგის ან სავაჭრო ნიშნის ქვეშ. კანონი "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ". – ფერმერთა გაერთიანება უკვე საკმაოდ ძლიერი ორგანიზაციაა, მათ ექნებათ საშუალება შეისყიდონ სპეციალიზირებული მანქანა-დანადგარები, სასუქი თუ შხამქიმიკატები, ერთობლივად დაფარონ საწარმოო ხარჯები. ეს ღონისძიებები შეამცირებს წარმოების დანახარჯებს და დაეხმარებათ ფერმერებს პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში;
2. ინვესტორების მოზიდვა-მსხვილი კოოპერატივისათვის გაცილებით ადვილია ინვესტიციების მოზიდვა, ვიდრე ერთი ინდივიდუალური ფერმერისათვის მკვეთრად ფრაგმენტირებული მიწის ნაკვეთით;
3. სასურსათო პროდუქტების სარეალიზაციო ქსელების დაინტერესება ეროვნული პროდუქციის შექენით (პროტექციონიზმი);

4. გადამამუშავებელი საწარმოების ან სპეციალიზებული სამაცივრე მეურნეობების შექმნა- გლეხი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი შრომა წყალში არ ჩაიყრება და მოწეული მაღფუჭებადი პროდუქციის გადაყრა არ მოუწევს;
5. ბიო მეურნეობების განვითარება (ბიო-გაზი, ბიო სასუქი და ა.შ) ხელს შეუწყობს ფერმერს, თავად გამოიმუშაოს იაფი ენერჯია, რაც შეუმცირებს წარმოების დანახარჯებს და დაეხმარება აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია;
6. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა: მწარმოებლურობის ამაღლებასთან ერთად ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა ხელოვნური მეთოდებით მიღებული სასურსათო პროდუქტების წარმოება, თუმცა აგროსასურსათო პროდუქტების მიწოდებაში გარკვეული დისბალანსი შეიქმნა. აღნიშნულის გამო მდგრადი განვითარება უმთავრეს მიზნად იქნა აღიარებული. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარება მხოლოდ შიგა რესურსული პოტენციალის გამოყენებით მიიღწევა, რაც, თავის მხრივ, საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებასაც უზრუნველყოფს[109];
7. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ავტომატურად გამოიწვევს ინფრასტრუქტურულ განვითარებას, ამაღლდება სოფლად ცხოვრების დონე, მოხდება მაცხოვრებელთა სოციალიზაცია და მოტივირება, აგრეთვე გაიზრდება დასაქმების შესაძლებლობა, რაც დააკავებს მათ სოფელში და გაუჩენს მუდმივ შემოსავალს;
8. ინტერნეტისა და კომუნიკაციების სხვა საშუალებების განვითარება ხელს შეუწყობს ფერმერებს მოახდინონ საკუთარი პროდუქციის რეკლამირება იაფი და ხელმისაწვდომი ონლიან-მარკეტინგის საშუალებით; სოციალური(მედია) მარკეტინგი ესაა ინტერნეტ-მარკეტინგის სახე, რომელიც ცდილობს მიაღწიოს ბრენდის პოპულარიზებას და მარკეტინგული კომუნიკაციის სხვა მიზნებს, სოციალური ქსელების საშუალებით; უკანასკნელი წლების განმავლობაში, სოციალური მედია გახდა ახრთა გაცვლა-გამოცვლის ყველაზე აქტუალური ადგილი. ის არის ცხოვრების

ახალი სტილი, დღევანდელობის ვირტუალური რეალობა, ანუ ინტერნეტ-ცხოვრება. უახლესი სტატისტიკის მიხედვით, Facebook-ზე დარეგისტრირებულია 845 მილიონი მომხმარებელი, YouTube-ზე განთავსებულ ვიდეოებს თვეში 90 მილიონზე მეტჯერ ათვალიერებენ, Twitter-ის მომხმარებლები დღეში 1.6 მილიონ პოსტს ანუ "ტვიტს" წერენ და Wikipedia 17 მილიონ სტატიას აერთიანებს;

9. სპეციალიზირებული სასწავლებლების შექმნით, ან სხვა მეთოდებით (აგრონომიული სპეციალობების სტუდენტების ქირით უზრუნველყოფა და გადასახადისგან განთავისუფლება) აგრო-სპეციალობების სტიმულირება.

თუმცა ყველა ამ ღონისძიების განხორციელება მოითხოვს ძალიან დიდ ყურადღებას, რამდენადაც სოფლის მეურნეობის წამოყენება მოითხოვს საკმაოდ დიდ ინვესტირებას სახელმწიფოს მხრიდან, რაც კორუფციის ერთგვარი საფრთხეა.

მნიშვნელოვანია აგრეთვე უცხოელი ინვესტორების შემოსვლის პირობები, არ უნდა მოხდეს ქართული მიწებისა და ბუნებრივი რესურსების უცხოელებზე გადაცემა. ამის ნათელი მაგალიათია ფერერო, რომელსაც დღემდე აქვს დავები ადგილობრივ მოსახლეობასთან, მიწის კუთვნილებასთან დაკავშირებით.

მხარდაჭერის სისტემა. შესაბამისად, ცხადი გახდა, რომ კონსენსუსი აუცილებელი იყო რეფორმების გასატარებლად.

ევროგაერთიანების სახელმწიფოები შეთანხმდნენ 1984 წლიდან რამდენიმე რეფორმის გატარებაზე: დაწესდა კვოტები რძის პროდუქტებზე და საბიუჯეტო დისციპლინის წესები, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბიუჯეტი უნდა განსაზღვრულიყო წინასწარ და მხოლოდ შემდეგ უნდა განსაზღვრულიყო აგრარული სექტორის ბიუჯეტი, რომ გადახარჯვა არ მომხდარიყო. აღსანიშნავია, რომ ამ სისტემამ არ იმოქმედა. 1985-87 წლებში 18 პროცენტით გაიზარდა ევაპ-ის დაფინანსება. ამ დროს ფასები მეტ-ნაკლებად დარეგულირებული იყო რძის პროდუქტებზე, განსხვავებით სხვა აგრარული პროდუქტისაგან. ამავე დროს გაერთიანების პრობლემებს თან დაერთო გაფართოება და მასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც საბოლოო ჯამში გაერთიანების 1987 წლის ბიუჯეტზე 4-5 მილიონი ეკიუს დეფიციტით აისახა. [16]

1980-იანი წლებიდან ევროგაერთიანებებში ეკოლოგიური პრობლემები გაჩნდა. აგრარულ პროდუქტებზე ფასების ზრდამ განაპირობა სასუქების რაოდენობის ზრდა. ამან გამოიწვია მოსახლეობაში სიმპათიის შემცირება ევაპ-ის მიმართ, რამაც, თავის მხრივ, გააიოლა რეფორმის განხორციელება.

1985 წელს ევროკომისიის ინიციატივით და ძალისხმევით გაერთიანების სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ 1992 წლისთვის საერთო ბაზარი საბოლოოდ უნდა დასრულებულიყო. ამავდროულად, გაერთიანების ახალი სახელმწიფოები - ესპანეთი, საბერძნეთი და პორტუგალია მოითხოვდნენ სტრუქტურული ფონდების გაზრდას, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ფინანსურად ზარალდებოდნენ, რადგან ევროგაერთიანების ბიუჯეტიდან შედარებით მცირე თანხებს იღებდნენ. შესაბამისად, ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ 1992 წლისთვის გაორმაგებულიყო სტრუქტურული ფონდების მოცულობა. ამ ყველაფერს აზრი ეკარგებოდა, აგრარული პოლიტიკის რეფორმის გარეშე, რადგან აგრარული სექტორის დაფინანსების თანდათან შემცირების გარეშე, ევროგაერთიანების ბიუჯეტი ვერ აუდიოდა სხვა პროგრამების დაფინანსებას, ამიტომ პოლიტიკური ნება აგრარული სექტორის გარდაქმნასთან დაკავშირებით 80-იანი წლების ბოლოსთვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ეს საკითხი მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ

ევროგაერთიანებამ სერიოზულად დაისახა მიზნად 1992 წლისთვის საერთო ბაზრის შექმნა. [16]

**საგარეო ზეწოლა:** 1986 წლის ურუგვაის რაუნდისთვის ევროგაერთიანების სახელმწიფოებმა დაიწყეს პაკეტის შემუშავება, რომელიც ხელს შეუშლიდა გაერთიანების აგრარული პროდუქტის დემპინგს მსოფლიო ბაზარზე. ამ რეფორმებმა გამოიწვია ზემოთ აღნიშნული 1984 წლის რეფორმები (რძის პროდუქტებზე კვლევის დაწესება და საბიუჯეტო დისციპლინის შემოღება), თუმცა ამას დიდი გავლენა არ ჰქონია მსოფლიო ბაზარზე, რადგან წინადადება შეიმუშავა DGVI-მა და კომისიამ, ხოლო საბჭოს სხდომაზე მონაწილეობდნენ მინისტრები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ინტერესთა ჯგუფების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. აქედან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ კომისიის მცდელობა გადაჭრილ იქნეს ესა თუ ის პრობლემა გაერთიანებაში, შეიძლება სრული წარუმატებლობით დასრულდეს, თუ მინისტრებზე არის კომისიის იდეებთან დაპირისპირებული ჯგუფების გავლენა.

1987 წელს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები საერთო აგრარული პოლიტიკის რეფორმის შესახებ ორ დონეზე — ევროპულ და საერთაშორისო ასპარეზზე. საერთაშორისო მასშტაბით 1987 წელს მიმდინარეობდა ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებები, ხოლო ევროპის მასშტაბით გააქტიურდა აგრარული პოლიტიკის შიგა რეფორმის გატარების საკითხი. ორივე ამ პროცესს განაპირობებდა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაფართოება და, შესაბამისად, დანახარჯების საოცარი ზრდა, რაც, თავის მხრივ, იწვევდა მსოფლიო ბაზარზე აშშ-ის და ევროგაერთიანების ექსპანსიონისტური აგრარული პოლიტიკების შეჯახებას.

1986 წელს არც ევროპას და არც აშშ-ს საკუთარი პოზიციები ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული რეფორმასთან დაკავშირებით. თავდაპირველად GATT-ის (General Agreement on Trade and Tariffs) მოლაპარაკებებში აგრარული პოლიტიკა არ იყო ჩართული, თუმცა კრიზისამდე მისულმა სიტუაციამ აიძულა ევროპის ქვეყნები რომ გადაწყვეტილებისთვის გადაეხედათ და აგრარული პოლიტიკა პაკეტში ჩაერთოთ. აშშ-ის მიერ შემოთავაზებული Zero-2000 პროგრამის მიხედვით ყველა სუბსიდია უნდა აღმოფხვრილიყო 2000 წლისთვის. ევროპის პოზიცია ამ შემთხვევაში ცალსახა იყო — ევროპულ სახელმწიფოებს და ასევე აშშ-ს უნდა გაეყინათ სუბსიდიები იმ

მომენტისათვის არსებულ დონეებზე, რაც ნიშნავდა მსოფლიო ბაზარზე სტატუს-კვოს შენარჩუნებას. პოზიციების მკვეთრი განსხვავების გამო შეთანხმება ვერ მოხერხდა.

1988 წლისთვის ეკაპ-ის რეფორმა აუცილებელი გახდა, რადგან დანახარჯები კატასტროფულად გაიზარდა. 1986 წლისთვის ბიუჯეტის ხარჯვითმა ნაწილმა შეადგინა 59 მილიარდი ეკიუ. 1984 წლის ფონტენბლუს შეთანხმებამ შეამცირა აგრარული დანახარჯების ზრდა 2 პროცენტამდე, თუმცა ზრდის პარამეტრი მაინც 18 პროცენტს აღწევდა ყოველწლიურად. ეს პრობლემა თითქოს მოგვარდა საბიუჯეტო წესრიგის შემოღებით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყოველი შვიდი წლით ისახდებოდა ევროგაერთიანების ბიუჯეტი, ხოლო შვიდწლიანი ხარჯვითი პარამეტრის შიგნით დგინდებოდა ე.წ. ყოველწლიური ხარჯვითი გეგმა. 1987 წელს ჭკვიანური ბუღალტრული აღრიცხვებით მოგვარდა წინა წლის საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემა, თუმცა ნათელი გახდა, რომ საბიუჯეტო დეფიციტის დამალვას კარგი შედეგი არ მოყვებოდა, ამიტომ 1988 წლის ბიუჯეტის გადასარჩენად მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი საერთო აგრარული პოლიტიკის რეფორმირება და ეფექტიანად ამოქმედება იყო.

გერმანიაში და საფრანგეთში 1988 წელს მიმდინარეობდა არჩევნები, რომელშიც ფრანსუა მიტერანსაც და ჰელმუტ კოლსაც მხარს უჭერდნენ აგრარული სექტორების სტრატეგიის მხარდამჭერი ინტერესთა ჯგუფები. ჰელმუტ კოლს ჰქონდა ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორი უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონოდა არჩევნებზე არაპოპულარულ რეფორმებს. 1984 წლის რძის კვოტების შემოღების შედეგად ქრისტიან-დემოკრატებმა 700.000 ხმაზე მეტი დაკარგეს. 1985 წლისთვის ქრისტიან-დემოკრატებს უკვე დაბლოკილი ჰქონდათ მარცვლელის ფასების შემცირების შესახებ გადაწყვეტილება, რაც იმას ნიშნავდა, რომ კოლს შიგა პოლიტიკური და გერმანიის აგრარული სექტორის ინტერესები უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ვიდრე ევროგაერთიანების ინტერესები.

1988 წლისათვის საფრანგეთშიც თითქმის ანალოგიური სიტუაცია იყო. 1988 წელს საფრანგეთში დაგეგმილი იყო საპრეზიდენტო არჩევნები და საუბარი იმაზე, რომ ტრადიციული სოფლის მეურნეობა, რომელიც სოციალური ეფექტის მატარებელ სექტორად ითვლებოდა, უნდა შეცვლილიყო - დამღუპველი იქნებოდა ნებისმიერი



პოლიტიკური ძალისთვის. შესაბამისად, საფრანგეთიც არ იყო დიდად მოწადინებული რადიკალური რეფორმა გაეტარებინა 1988 წელს.

ბრიტანეთში შედარებით განსხვავებული სიტუაცია იყო. ტეთჩერისთვის მნიშვნელოვანი იყო სტატუს-კვოს შენარჩუნება, ან უკეთეს შემთხვევაში, ფასების სისტემის გარდაქმნა, ისე რომ მის მიერ გადახდილი ფული არ მოხმარებოდა ბრიტანელი ფერმერების კონკურენტების განვითარებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას. ამასთან, სოფლის მეურნეობა არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი ბრიტანეთის მთავრობისთვის, რამდენადაც საბიუჯეტო კონტრიბუციების საკითხი. ბრიტანეთს სურდა სასწრაფოდ მოეგვარებინა სოფლის მეურნეობასთან და საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებული დაპირისპირება, რათა გადასულიყო მისთვის უფრო მნიშვნელოვან საკითხზე - საერთო ბაზრის ჩამოყალიბების დასრულებაზე. საერთო ბაზრის შექმნა საშუალებას აძლევდა მოგება ენახათ ბრიტანელ მრეწველებს და მომსახურების მიმწოდებლებს.

დიდმა ბრიტანეთმა შემოიტანა წინადადება შეემცირებინათ ფასები 15 %-ით, იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე არსებული პროდუქცია გადააჭარბებდა დაშვებულ ზღვარს (MGQ - მაქსიმალურად გარანტირებული რაოდენობა); ამასთან დიდი ბრიტანეთი ითხოვდა დაწესებულიყო ე.წ. თანაპასუხისმგებლობის გადასახადი (coresponsibility levy), რომელიც უნდა გადაეხადა ფერმერს, თუ ის დასაშვებზე მეტ რაოდენობა პროდუქციას აწარმოებდა. ამ გადასახადის მიზანი იყო გაეიოლებინა შენახვის და ექსპორტის სუბსიდიის ხარჯები. მაქსიმალურად გარანტირებული რაოდენობა ბურღულეულზე დაწესდა 155 მილიონი მეტრული ტონა (ეს რაოდენობა შერჩეულ იქნა იმის გამო, რომ 1987 წელს სწორედ 155 მილიონი ტონა ბურღულეული იქნა ნაწარმოები).

საფრანგეთი და გერმანია ბოლომდე არ ეთანხმებოდნენ ამ წინადადებას. მათი აზრით, მისაღები იყო ფასის მხოლოდ 3 %-იანი შემცირება, ხოლო კვოტის განსაზღვრა 165 მილიონი მეტრული ტონით. გადაწყვეტილების სწრაფად მიღების აუცილებლობაზე მეტყველებდა ისიც, რომ ბრიტანეთი და ჰოლანდია უარს ამბობენ გაეგრძელებინათ ევროგაერთიანების ბიუჯეტის დაფინანსება, თუ არ მოგვარდებოდა საერთო აგრარულ პოლიტიკასთან დაკავშირებული პრობლემები. ამ ორი ქვეყნის ხისტი პოზიციის გამო 1988 წლის ბიუჯეტი ვერ შეთანხმდა, რის გამოც კომისიამ

მინისტრთა საბჭოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა მართლმსაჯულების სასამართლოში. მინისტრთა საბჭომ საბოლოოდ მოახერხა ბიუჯეტის დამტკიცება, მანამ სანამ მართლმსაჯულების სასამართლო მის გამამტყუნებელ ვერდიქტს გამოიტანდა.

საბოლოოდ მიღწეულ იქნა შემდეგი შეთანხმება: დაწესდა, რომ ფასების 3 %-იანი შემცირება უნდა მომხდარიყო მხოლოდ მაშინ, თუ წარმოება გადააჭარბებდა 160 მილიონ ტონას. გერმანიამ გადაწყვიტა 5 მილიარდი ეკიუთი მეტი გადაეხადა ევროგაერთიანების ბიუჯეტში რათა ეს გადაწყვეტილება ფინანსურად გაემაგრებინა. დიდმა ბრიტანეთმა მიაღწია ფასის შემცირებას და დამატებით გადასახადს, თანაც არა საკუთარი საბიუჯეტო დანახარჯების, არამედ გერმანიის ფულის ხარჯზე. რაც შეეხება ხმელთაშუაღვისპირეთის ქვეყნებს — პორტუგალიას, ესპანეთს და საბერძნეთს, მათ მიიღეს გაზრდილი დახმარება სტრუქტურული ფონდებისგან.

მომდევნო რეფორმა, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმად ითვლება საერთო აგრარული პოლიტიკის ისტორიაში, იყო 1992 წელს განხორციელებული მაკშერის რეფორმა. ამ რეფორმამ სახელი მიიღო დელორის კომისიაში სოფლის მეურნეობის კომისრის რეი მაკშერის სახელისგან. 1992 წელს ევროგაერთიანების სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ბურღულეულზე გარანტირებული ფასები შეემცირებინათ 29%-ით მომდევნო სამ წელიწადში და ასევე მოეხდინათ სხვა აგრარული ნაწარმის ფასების შემცირება. ამავდროულად, დაიწყო პარალელური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას და ხელს უწობდა ადრე პენსიაზე გასვლას, რეფორესტაციას და ფერმინგის უფრო ორგანული ფორმების განვითარებას.

1992 წელს ურუგვაის რაუნდმა კრიტიკულ მომენტს მიაღწია. უკვე აუცილებელი იყო პაკეტში სოფლის მეურნეობის ჩართვა. თუ აქამდე ყველა სახელმწიფო მზად იყო იგნორირება მოეხდინა სოფლის მეურნეობის საკითხებისთვის, 1992 წელს ევრო-გაერთიანება უკვე მზად იყო საერთოდ ჩაეგდო რეფორმების პაკეტი, თუ მასში სოფლის მეურნეობა არ იქნებოდა შეტანილი;

მაკშერის რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მარცვლეულის და ხორცის ფასი და ისინი გაუთანაბრდა მსოფლიო ფასებს. ფერმერებს აუნაზღაურეს დანაკარგები, იმ პირობით, თუ ისინი დატოვებდნენ ფერმებს და სხვა სფეროში

გააგრძელებდნენ საქმიანობას. შემუშავებული იქნა ნაადრევი პენსიების სისტემა, ასევე დაიწყო ეკოლოგიურად სუფთა ფერმერული პრაქტიკის ხელშეწყობის პროგრამები.

მაკშერის რეფორმების მთავარი იდეა იყო ზღვრული მწარმოებლებისათვის კომპენსაციის სისტემის შემოღება და მათი თანდათანობით განდევნა ბაზრიდან. გარდა ამისა, უნდა გაზრდილიყო აგრარული სექტორის დაფინანსება, რაც მიმართული იქნებოდა ფერმებში დასაქმებული მოსახლეობის რიცხვის შემცირებისა და სხვა სექტორებში მათი დასაქმებისკენ. ეს ნიშნავდა, რომ საერთო აგრარული პოლიტიკის დაფინანსება გაიზრდებოდა, ანუ გაიზრდებოდა საბიუჯეტო დანახარჯებიც, მაგრამ ეს ზრდა იქნებოდა უფრო ნაკლები, ვიდრე რეფორმის განხორციელების გარეშე დანახარჯების ზრდა.

რაც შეეხება ფასების შემცირებას ბურღულზე, მას ჯაჭვური რეაქციით უნდა გამოეწვია სხვა პროდუქტებზეც ფასების შემცირება.

**დღის წესრიგი 2000 (ტენდა 2000).** კიდევ ერთი რეფორმა საერთო აგრარულმა პოლიტიკამ განიცადა 2000 წლიდან, როდესაც მიღებული იქნა ძალიან ამბიციური პროგრამა — “დღის წესრიგი 2000”, რაც ითვალისწინებდა გაერთიანების მომზადებას გაფართოებისადმი. გაფართოების დღის წესრიგში დადგომამ 90-იანი წლების შუაში კიდევ ერთხელ წამოწია ევპ-ის რეფორმა, რადგან ნათელი გახდა, რომ ახალი, მეტწილად აგრარული ქვეყნების ევროკავშირში შესვლა გამოიწვევდა გადაუჭრელ პრობლემებს. 1995 წელს გერმანიამ, საფრანგეთმა და ხმელთაშუაზღვის ქვეყნებმა განაცხადეს, რომ არ დაუშვებდნენ ახალი ხუთი სახელმწიფოს (ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი და ბულგარეთი) აგრარული ექსპორტის ყოველწლიურ 10-პროცენტთან ზრდას და მხოლოდ 5%-ზე იყვნენ ყაბულს. ამ განცხადების დაფიქსირების შემდეგ აშკარად გამოჩნდა, რომ ამ ქვეყნებს არ სურდათ თავიანთი ფერმერების გაბრაზება.

1999 წელს ევროკავშირმა მიადწია შეთანხმებას ამერიკასთან, რომ ორივე გააგრძელებდა მარცვლეულის და მეცხოველეობაზე ორიენტირებული ფერმერების სუბსიდირებას 2003 წლამდე. ეს დახმარება უნდა ყოფილიყო იმ ფერმერებისთვის, რომლებიც არ დაარღვევდნენ წარმოების და კონკურენციის წესებს. ასევე მოქმედებას

იწყებდა ნაადრევი პენსიების სისტემა, მიწის გამოსყიდვა და სხვა ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო ფერმერების რაოდენობის შემცირებისკენ.

Agenda 2000 შემუშავებული იქნა 1999 წლის 26 მარტს ბერლინის ევროპული საბჭოს მიერ. იგი წარმოადგენს სამოქმედო გეგმას, რომლის მთავარი მიზანია გაძლიერდეს გაერთიანების სხვა და სხვა პოლიტიკის მიმართულებები, შეიქმნას ახალი, უფრო ეფექტიანი ფინანსური ინსტრუმენტები. იგი ეხება ევროკავშირის პოლიტიკის თითქმის ყველა მიმართულებას, სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით გაგრძელებული იქნა მოქმედება იმ პრინციპების მიხედვით, რომლებიც გამოიყენეს 1988 და 1992 წლებში. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ეკოლოგიურ საკითხებს. დღის წესრიგი 2000-ის მიხედვით აგრარული პოლიტიკის რეფორმა შემდეგი მთავარი საკითხების გარშემო აიგო:

- ფასების მომდევნო შემცირება;
- სოფლის განვითარების და პირდაპირი გადახდების სისტემის შენარჩუნება;
- სოფლის განვითარების გარდაქმნა საერთო აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საყრდენი გახდა;
- სტრუქტურული და შერწყმის ფონდების ეფექტიანობის ზრდა;
- გაწევრიანების წინა სტრუქტურული ინსტრუმენტის (ISPA - pre-accession structural instrument) და გაწევრიანების წინა აგრარული ინსტრუმენტის (SAPARD - pre-accession agricultural instrument) სრული ამოქმედება;
- ახალი ფინანსური ინსტრუმენტის მიღება 2000-2006 წლებისთვის. [16]

დღეისათვის ვაჭრობის დამაბრკოლებელი ყველაზე გაგრძელებული ბარიერია ე.წ. გადასახადი იმპორტზე - ტარიფი. “ტარიფები უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივად წარმოებულ საქონელს ანალოგიურ იმპორტირებულ საქონელთან შედარებით და შესაბამისად, წარმოადგენს შემოსავლის ზრდის წყაროს ქვეყნებისთვის“. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო) ცდილობს, ნულამდე დაიყვანოს აღნიშნული ტარიფები. ურუგვაის რაუნდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით, ვინაიდან, შედეგად, ქვეყნებმა დაადასტურეს, რომ შეამცირებენ ტარიფებს და დასწევენ საბაჟო გადასახადებს იმ ნიშნულამდე, რომლიდანაც მათი კვლავ გაზრდა რთული იქნება. ტარიფები შეიძლება დაწესდეს

ასევე იმ კონკრეტულ რაოდენობებზე, რომლებიც სცდება დადგენილ ქვოტას (ე.წ. სატარიფო ქვოტას).

მსო-ს პრინციპების თანახმად, წევრ ქვეყნებს ეკრძალებათ შერჩევითი მიდგომის გამოყენება სავაჭრო პარტნიორების მიმართ და რომელიმე მათგანისთვის განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭება, ამ ქვეყნიდან საქონლის იმპორტზე დაბალი ტარიფების მინიჭების გზით. ეს პრინციპი ცნობილია, როგორც უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN) და წარმოადგენს DCFTA-ს განუყოფელი ნაწილის - ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების (GATT)-ის ნაწილს. თუმცა, ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების დადების შემთხვევაში ამგვარი შერჩევა ახსნადია. აღნიშნულ შეთანხმებათა მიხედვით, ქვეყნებმა, შესაძლოა, უპირატესობა მიანიჭონ კონკრეტულ ქვეყნებს თავიანთ ბაზრებზე დაშვებისას, ან დააწესონ ბარიერები იმ პროდუქტების მიმართ, რომელთა იმპორტიც კონკრეტული ქვეყნიდან, სავარაუდოდ, არასამართლიანად ხორციელდება.

ზემოთ აღნიშნული ბარიერების გარდა, არსებობს აგრეთვე რიგი ე.წ. ტექნიკური სავაჭრო ბარიერებისა (TBT), როგორცაა ტექნიკური რეგულაციები, სტანდარტები, გეოგრაფიული აღნიშვნები და სერტიფიცირების პროცედურები. ეს ბარიერები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და ნაკლებად გამჭვირვალე და თვალსაჩინოა სატარიფო ბარიერებთან შედარებით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აგროსასურსათო პროდუქტებს ეხება, რომლებმაც უნდა დააკმაყოფილონ წინასწარ შემუშავებული სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, რომლებიც არცთუ იშვიათად გვევლინება, როგორც დაბრკოლება აღნიშნული პროდუქტებით ვაჭრობისას. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირი მსოფლიოს ერთ-ერთი ის რეგიონია, სადაც მომხმარებელთა დაცვის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. [16]

როგორც ვხედავთ, დღეისათვისაც ევროკავშირში აგრარული პოლიტიკა მკაცრად პროტექციონისტულია და როგორც განვითარების დინამიკა გვიჩვენებს, უახლოეს მომავალში არც იკვეთება პოლიტიკის მკვეთრად შეცვლის მზაობა.

ერთიანი აგრარული პოლიტიკის განვითარების ინსტიტუციური მოდელები და პოლიტიკის მართვა. მმართველობის თემა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ქვეყნებში, რომლებიც ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ინსტიტუციური და

სოციალური სუბიექტი ჩართონ მართვის პოლიტიკაში. მართვის პოლიტიკის განვითარებას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა რამდენიმე მიზეზის გამო. ეს მიზეზები დამახასიათებელია ყველა ევროპული და რიგი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისთვისაც.

1. თავდაპირველად ინსტიტუციური სისტემები სხვა და სხვა ევროპულ ქვეყნებში მიდიან დეცენტრალიზაციის გზით.
2. ძლიერდება ზეეროვნული ინსტიტუტები (მაგალითად, ევროპული კომისია), რომლებიც აყალიბებენ საერთო წესებს მონაწილე ქვეყნებისთვის.
3. ადგილობრივი თვითმმართველობა გავლენას ახდენს ზემდგომ უწყებებზე, აფართოებს გავლენას პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და დანერგვაში. ეს ეხება არა მხოლოდ მუნიციპალიტეტებს, ეკონომიკურ და შრომით ორგანიზაციებს, არამედ სხვა და სხვა საზოგადო და კოლექტიურ ორგანიზაციებს, რომლის გაჩენა განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა ღირებულებების გაუფასურება, ეკონომიკის გლობალიზაცია, გარემოს მკვეთრად გაუარესება და ასე შემდეგ.
4. ჩართულობის აუცილებლობა გამოწვეულია მართვის პოლიტიკის ტრანსფორმაციით. ჩნდება და ვითარდება კოოპერაციის სხვადასხვა ფორმები ადგილობრივ სუბიექტებს შორის, რათა დაახქარონ ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობა პოლიტიკაში, მონიტორინგში და გარკვეულწილად კონტროლშიც კი.

კოოპერაციის ეს ფორმები შეეხო არა მარტო ქვეყნებს ტრადიციულად ძლიერი რეგიონული მმართველობით, არამედ ისეთ ქვეყნებსაც, სადაც ის საერთოდ არ არსებობდა. ეს ცვლილებები 1996 წელს კორკის კონფერენციაზე გახდა განხილვის საგანი და „დღის წესრიგი 2000“-ში ცვლილებები მომზადდა, შემდეგ 2003 წელს ზალცბურგის კონფერენციაზე დასახული იქნა განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულება 2007-2013 წლებისთვის. შედეგად შეიცვალა სახელმწიფოს სოფლის მეურნეობის განვითარების და რეგიონული პოლიტიკა. თამაშში ჩაერთო:

- მეტი რგოლი (ეროვნული, რეგიონული, შუალედური, ადგილობრივი);

- მეტი სუბიექტი (არა მარტო სახელმწიფო მართვისა და აგრარული სექტორის წარმომადგენლები);
- ახალი ინსტრუმენტები და მიდგომები, რომლებიც მეტია ვიდრე წერტილოვანი დახმარება, განპირობებულია შერჩევის დეტალური კრიტერიუმებით და სცილდება წარმოების ერთ სექტორს.

მართვის პოლიტიკის თემა გახდა აქტუალური სახელმწიფო პოლიტიკისა და ფუნქციონირების წარმატების გააზრებისთვის.

ამ თვალსაზრისით მართვა ასახავს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ფუნქციას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ “დაეხმაროს ეკონომიკას გადალახოს კოორდინაციის ჩავარდნა, მისცეს ბიძგი გადავიდეს უკეთეს მდგომარეობაში ეფექტიანობის თვალსაზრისით“. კოორდინაციის თემაზე მსჯელობა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ეკონომიკური სისტემები განიხილება როგორც რთული და დინამიური სისტემები რომელშიც ეკონომიკური აგენტები რთულად აღწევენ კოლექტიურ/სახელმწიფო ინტერესების საერთო შედეგს. იბადება კითხვა: რა მექანიზმები უზრუნველყოფს აგენტების შორის კოორდინაციას?

განიხილავენ კოორდინაციის სამ მექანიზმს, რომლებიც არ არსებობენ დამოუკიდებლად მაგრამ ერთმანეთს ავსებენ:

- საბაზრო მექანიზმი დაფუძნებულია ეკონომიკური აგენტების ინდივიდუალურ რეაგირებაზე ფასების ცვლაზე;
- იერარქიული მექანიზმი დაფუძნებულია ნებისმიერი ძალაუფლების ფორმაზე, რომელიც განსაღვრავს წესებს ეკონომიკური აგენტებისათვის;
- ქსელური მექანიზმის პირობებში ეკონომიკური ინსტიტუტები არეგულირებენ ურთიერთობას აგენტებს შორის, ვინაიდან შეუძლიათ შემოიღონ სანქციები და დააწესონ პრემიები. ანუ შეიმუშაონ თამაშის საერთო წესები, რომლის დაცვაც მოუწევთ ეკონომიკურ აგენტებს. ისინი შეიძლება გააგივო ფორმალური/არაფორმალური შეთანხმების სისტემასთან, რომელიც მიღებულია ყველა აგენტის მიერ.

„დღის წესრიგი- 2000“ ხაზს უსვამდა სოლიდარობის და დეცენტრალიზაციის პრინციპებს რეგიონული განვითარების და დაახლოვების პოლიტიკაში. ეს ვრცელდება სოფლის განვითარებაზეც. გამომუშავებული მოდელი განიცდის

ცვლილებებს რათა მოვიდეს შესაბამისობაში იურიდიულ ასპექტთან, ეს გამოიწვია ევროკავშირის გაფართოებამ. მოდელი რომელსაც განიხილავს „ღღის წესრიგი-2000“ ეხება ძირითადი ინსტიტუციური და სოციალურ-ეკონომიკური სუბიექტების ჩართულობის დონეს პოლიტიკის ფორმულირებაში და მის განხორციელებაში. მოდელი შეიცავს შემდეგ პრინციპებს:

- ევროკომისია, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი უწყებები ერთობლივად ადგენენ განვითარების პრიორიტეტებს, მიზნებს და ამოწმებენ შესრულებას;
- მართვა სრულად გადაეცემა მონაწილე ქვეყნებს და რეგიონებს, მათვე აკისრებს ვალდებულებას ანგარიში წარმოადგინონ ევროკავშირიდან მიღებული რესურსის ხარჯვაზე;
- კავშირის რესურსების მართვის პროცესის გამჭვირვალობისათვის და საერთო წესების ველში მოქცევისათვის აუცილებელია ყველა ქვეყანა აღჭურვილი იყოს ეფექტიანი მართვის, მონიტორინგის და კონტროლის სისტემებით.

„ღღის წესრიგი 2000“-ში წარმოდგენილი კავშირის დეცენტრალიზაციის პრინციპი, რომელსაც უნდა გაეადვილებინა პროცესი, სინამდვილეში წააწყდა დიდ სირთულეს მთელ ევროპაში და იყო ნაწილობრივი, ამავდროულად გაძლიერდა ცენტრალიზაციის ტენდენცია.

მართვის ცენტრალიზებული სისტემა ჯერ კიდევ ძალიან გავრცელებულია სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკაში. რეგიონული განვითარება პირიქით დეცენტრალიზაციის გზით მიდის.

ჩრდილოეთ ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა შვედეთი, ირლანდია, ავსტრია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია და ყველაზე ძლიერი ცენტრალიზებული მართვის მქონე-საფრანგეთი, აგრეთვე სამხრეთ ევროპის ქვეყნებიდან ერთად ერთი - საბერძნეთი, სოფლის განვითარება ფინანსდება/იმართება ცენტრიდან. ოდნავ განსხვავდება ჰოლანდია, სადაც პროვინციებს ეძლევა საშუალება თავად დასახონ დახმარების მიმართულება. ეს შეიძლება გამართლებული იყოს ისეთ პატარა ქვეყნებში, როგორცაა დანია, ლუქსემბურგი, ავსტრია, მაგრამ არა საფრანგეთში. იტალია და გერმანია ის ქვეყნებია სადაც რეგიონები სარგებლობენ ფართო უფლებებით. ადგილობრივი ხელისუფლებები ადგენენ განვითარების გეგმებს



ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინირებულად. ცალკე უნდა გამოიყოს დიდი ბრიტანეთი, სადაც არ არსებობს განვითარების საერთო გეგმა, აქ ცენტრალიზებულ მართვაზე ლაპარაკი ზედმეტია, დეცენტრალიზაცია ეხება სამ პროვინციას-ჩრდილოეთ ირლანდია, შოტლანდია, უელსი. ეს პროვინციები წყობით და ზომით უახლოვდება იტალიის მსხვილ რეგიონებს. ინგლისი კი ევროპის მსხვილ ქვეყნებს. შერეული მოდელის ჯგუფს წარმოადგენს ესპანეთი, პორტუგალია, ფინეთი და ბელგია.

ევროპაში იკვეთება ორი ტენდენცია:

ერთ მხრივ ძლიერი ეროვნული მართვა, მეორე მხრივ ადგილობრივი მართვის გავრცელება. ეს ორი ტენდენცია ყოველთვის არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, როგორც, ვთქვათ დიდ ბრიტანეთში, სადაც ეროვნულ პროგრამებს ემატება მთელი რიგი ადგილობრივი პროგრამები.

ამ ორ ტენდენციასთან ერთად არსებობს კიდე ერთი, მეტად შეზღუდული-შუალედური დონე. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ტენდენციები იჩენს თავს მართვის მოდელების არერთგვაროვან სივრცეში. კერძოდ ეს ხდება ქვეყნებში ძლიერი დეცენტრალიზაციით, სადაც რეგიონი აბსოლუტურად დამოუკიდებლად განსაზღვრავს მართვის განსხვავებულ მოდელს, ისტორიიდან, ტრადიციებიდან, პოლიტიკური უმრავლესობიდან გამომდინარე. ამიტომ ევროპაში და კერძოდ იტალიაში ჩნდება არაერთგვარი მართვის სისტემა რომელიც შეიძლება შევადაროთ პატარა ნაჭრებისგან შეკერილ საბანს (patchwork). ეს ამტკიცებს მოსაზრებას რომ ადმინისტრაციული მართვა სულ უფრო და უფრო რთულდება.

**ევროკავშირის აგრარული საფასო პოლიტიკა:** ბევრ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრები სახელმწიფოს საფასო პოლიტიკის სამიზნეს წარმოადგენს. უამრავ განვითარებად ქვეყანაში ძირითად საკვებ პროდუქტზე არსებობს მაქსიმალური ფასის დაწესების სტანდარტი, რომელიც საზოგადოების ფართო ფენების იაფი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდების შემცირება, ხშირად, დეფიციტს და სახელწიფოს მხრიდან აგრარული პროდუქტების ნორმირებას იწვევს. რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, აქ პირიქით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე წესდება მინიმალური ფასის სტანდარტი, რაც სამრეწველო სექტორში დასაქმებულებთან შედარებით, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა შემოსავლის შემცირებას

უნდა უშლიდეს ხელს. ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა იძლევა აღნიშნული ღონისძიებების გავლენის თვალსაჩინო მაგალითს.

ჯერ კიდევ 1958 წელს ევროპის ეკონომიკური კავშირის დაარსებისას, ექვსმა დამფუძნებელმა ქვეყანამ (საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და გერმანია) კავშირის ფარგლებში სამრეწველო პროდუქტით ვაჭრობისას საბაჟო მოსაკრებლის გაუქმებასთან ერთად, ცალსახად დასახეს ერთიანი აგრარული პოლიტიკის გატარებაც. ევროპის ეკონომიკური კავშირის ხელშეკრულების 39-ე მუხლის თანახმად, ერთიანი აგრარული პოლიტიკის მიზნები შემდეგნაირად განისაზღვრება:

- სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდა;
- სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული პირების ცხოვრების დონის სათანადო უზრუნველყოფა ერთ სულზე შემოსავლის რაოდენობის გაზრდის საშუალებით;
- ბაზრების სტაბილიზება;
- მომარაგების უზრუნველყოფა.

აღნიშნულ ჩამონათვალში თავს იჩენს, როგორც ევროპის აგრარული პოლიტიკის შემოსავლებთან დაკავშირებული მიზნები, ასევე ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების საშუალებით არაერთ აგრარულ ბაზარზე არსებული ფასების ციკლური მერყეობის შესუსტება.

1958 წელს სტრეზის სოფლის მეურნეობის კონფერენციაზე დაისახა ერთიანი აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. სხვა დანაჩენთან ერთად, კონფერენციის რეკომენდაციები ითვალისწინებდა ევროპის ეკონომიკური კავშირის ფარგლებში ყველა წევრი ქვეყნისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ერთიანი ფასების დაწესებას. ფერმერთა პროდუქციისა და შემოსავლების დასაცავად, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ეკონომიკური კავშირის ეს ერთიანი ფასები იმავდროულად მსოფლიო ბაზარზე შესაბამის პროდუქციაზე არსებულ ფასებზე მაღალი უნდა ყოფილიყო. განვითარებადი ქვეყნებიდან აგრარული პროდუქციის იაფი იმპორტის ფასსა და ეკონომიკურ კავშირში დადგენილ ფასს შორის განსხვავების გათანაბრების მიზნით, საჭირო გახდა იმპორტზე შესაბამისად გაზრდილი საბაჟო განაკვეთის შემოღება. ამრიგად, ე.წ. საბაზრო წესრიგის შემოღებით, 60-იანი წლების ბოლომდე,

განხორციელდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების უმეტესობის ეკონომიკური კავშირის აგრარულ ბაზარზე მოზიდვა. 1976 წლის ბოლოსთვის, აგრარული ბაზრის რეგულირებისათვის შემუშავებული 23 წესი მოიცავდა ეკონომიკური კავშირის წვერი ქვეყნების სოფლის მეურნეობის პროდუქტების 90%-ზე მეტს. 70%-ზე მეტი პროდუქტისათვის, რომლებსაც აგრარული ბაზრის რეგულირება შეხებოდა, არსებობდა სახელმწიფოს მხრიდან ფასის განსაზღვრულ დონეზე შენარჩუნების საბაზრო რეგულირების ფორმა.

სახელმწიფოს მხრიდან ფასის განსაზღვრულ დონეზე შენარჩუნების გზით საბაზრო წესრიგის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრთა საბჭოს ყოველწლიური გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის ცალკეულ პროდუქტზე საორიენტაციო ფასის დაწესების შესახებ. საორიენტაციო ფაშიგან გამოიყვანება განვითარებადი ქვეყნებიდან შემოსული იმპორტის ზღვრული ფასი მაშინ, როდესაც საორიენტაციო ფაშიგან ხდება ევროკავშირის ცალკეულ რეგიონებსა და ევროკავშირის მთავარ ნავსადგურს – როტერდამს შორის სატრანსპორტო ხარჯების დაქვითვა. აგრარული პროდუქტების მსოფლიო საბაზრო ფასებსა და ევროკავშირის ზღვრულ ფასებს შორის სხვაობიდან გამოითვლება ე.წ. საკომპენსაციო მოსაკრებელი. აღნიშნულმა მოსაკრებელმა, როგორც ევროკავშირის ქვეყნებში აგრარული პროდუქტის იმპორტის ცვლადი საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთმა, უნდა უზრუნველყოს ის, რომ არ მოხდეს ევროკავშირის ბაზარზე მსოფლიო ბაზრის პროდუქტების საორიენტაციო ფასზე დაბალ ფასად მიწოდება.

საორიენტაციო და ზღვრული ფასებისა და საკომპენსაციო მოსაკრებლების გარდა, სოფლის მეურნეობის მინისტრთა საბჭო ყოველწლიურად ასევე ადგენს ე.წ. საინვესტიციო ან საგარანტიო ფასებს. როგორც ტიპური მინიმალური ფასების სტანდარტები, ისინი განსაზღვრავენ ევროკავშირის ბაზრებზე მისაღებ აგრარულ პროდუქტზე ფასის მინიმალურ ზღვარს. ამასთან, საორიენტაციო ფასსა და საინვესტიციო ფასს შორის განსხვავება პროდუქტის სახის მიხედვით განისაზღვრება. შაქრის შემთხვევაში იგი აღწევს 5%-ს, ხოლო ხილისა და ბოსტნეულის სხვადასხვა სახეობის შემთხვევაში 50%-ს. თუ მიწოდება საორიენტაციო ფასად არ ხორციელდება, საბაზრო რეგულირება ზოგიერთ პროდუქტთან მიმართებაში,

როგორცაა, მაგ., შაქარი, რძე, საქონლის ხორცი ან მარცვლეული, ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ინვესტირების აუცილებლობას, რომლის დროსაც, ჭარბი მიწოდების შემთხვევაში, ხორციელდება ევროკავშირის ბიუჯეტით პროდუქციის შესყიდვა. სხვა პროდუქტების შემთხვევაში, როგორცაა, ღორის ხორცი, სუფრის ღვინო, ხილი და ბოსტნეული, გათვალისწინებულია ნებაყოფლობითი ინვესტიციები, რომლებიც ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან იქნება შესყიდული.

ევროპის აგრარული პოლიტიკის შედეგები თვალსაჩინოდ ადასტურებენ მინიმალური ფასის შესახებ დისკუსიების შედეგად მიღებულ ჰიპოთეზებს. აგრარულ პროდუქტებზე ერთიანი, სტაბილური და მსოფლიო საბაზრო ფასზე მაღალი ფასების არსებობის გარანტია, ერთი მხრივ, ევროპის ეკონომიკური კავშირის აგრარულ ბაზრებზე ფასის ჩამოყალიბების პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, ჭარბი მიწოდების განვითარებას უწყობდა ხელს. თუ ევროგაერთიანების ქვეყნების თვითმომარაგების ხარისხი 70–იან წლებში კარაქის შემთხვევაში 95%–ს, ხოლო ხორცის შემთხვევაში 98%–ს შეადგენდა, 80–იანი წლების ბოლომდე მან, აგრარული პროდუქტების უმეტესობის შემთხვევაში, ცალსახად გადააჭარბა 100%–ს (ცხრილი 2.1).

**ცხრილი 2.1. ევროკავშირის თვითმომარაგების მაჩვენებელი ზოგიერთი პროდუქტისათვის** ((წლიური საშუალო მაჩვენებელი %-ებში) აღწერილია ურთიერთობა ევროკავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოხმარებას შორის. 100%–ზე მეტი მიუთითებს ჭარბ პროდუქტზე)

	1974-1975 (EU- 9)	1987-1988 (EU -12)	1999-2000 (EU -15)	2009-2010 (EU -27)
მარცვლეული (ბრინჯისგარდა)	95	111	116	107
შაქარი	87	127	128	100
ღვინო	95	107	109	100
უცხიმო რძის ფხვნილი	153	110	247	141
ხორცპროდუქტები (სრულად)	98	107	107	108
EAGFL*-ის დანახარჯები , განყოფილება“გარანტია“, მლრდ. ECU / €	4,5 (1975)	29,0 (1989)	40,5 (2000)	58,3 (2010)
ევროკავშირის ბიუჯეტის საერთო წილი %-ებში	69	60	49	47
*ევროპის სოფლის მეურნეობის განვითარების და უზრუნველყოფის ფონდი ; 01.01 2007 წლიდან ევროპის სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის ფონდი (EGFL) წყაროები: გერმანიის ფინანსთა სამინისტრო, ევროკავშირის სტატისტიკის სამსახური				

იმ პროდუქტების ბაზრებზე, სადაც არსებობს ნებაყოფლობითი ინტერვენციის ვალდებულება, მაგალითისათვის, ხილისა და ბოსტნეულის სახეობების შემთხვევაში, მეწარმეები კვლავინდებურად იძულებული იყვნენ, გაენადგურებინათ ჭარბი პროდუქცია. შაქრის ბაზარზე უკვე 1968 წლიდან მოქმედებს მიწოდების განაწილების სისტემა, რომლის დროსაც, ყველა მწარმოებელ ქვეყანას განსაზღვრული საწარმოო ქვოტა ენიშნება. 1981 წლამდე სოფლის მეურნეობის ყველა მწარმოებელს მიეცა გარანტია იმის თაობაზე, რომ მოხდებოდა კონტინგენტის რაოდენობის დადგენილ საინვესტიციო ფასად შესყიდვა. 1981 წლიდან სახელმწიფოს მხრიდან საინვესტიციო შესყიდვის შემთხვევაში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს განაწილებული რაოდენობის რაღაც ნაწილზე ფასდაკლება. ვინაიდან დადგენილი ქვოტები არანაირი ფორმით არ შეესაბამებოდა შაქარზე არსებულ რეალურ მოთხოვნას, მათ არ შეეძლოთ წინ აღდგომოდნენ ჭარბი პროდუქციის ზრდას. რძის ბაზარზე, სადაც ეკონომიკური კავშირის თვითმომარაგების ხარისხმა უკვე დიდი ხანია 100%-ს გადააჭარბა, 1984 წელს ფასდაკლების ნაცვლად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მიწოდების განაწილების თაობაზე. 1988 წლიდან მარცვლეულის ბაზარზეც არსებობს ქვოტები, რომელთა ჭარბი რაოდენობის შემთხვევაშიც, სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებულად ხორციელდება ფასების შემცირება.

გასაყიდი ფასების სუბსიდირება, რამაც ხელი უნდა შეუწეოს ეკონომიკური კავშირის წევრ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის ჭარბი პროდუქციის შემცირებას, საბოლოოდ ექსპორტის ხელშეწყობის განსაკუთრებული პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება. საკომპენსაციო მოსაკრებლების სარკისებური ეფექტისთვის, ევროკავშირი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტისთვის იძლევა ე.წ. ექსპორტის სუბსიდიას. სუბსიდირების რაოდენობა უტოლდება ინტერვენციის ფასსა და მსოფლიო საბაზრო ფასს შორის განსხვავებას კონკრეტული პროდუქტისთვის. მათი საშუალებით, სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, თავიანთი პროდუქცია განვითარებად ქვეყნებში ევროზონაში არსებულ ფასზე იაფად გაყიდონ ისე, რომ არ მოუწიოთ პროდუქციის ერთეულზე საგარანტიო ფასის ოდენობით მისაღებ მოგებაზე უარის თქმა. შიგა საბაზრო ინტერვენციების ხარჯებთან ერთად, ექსპორტის სუბსიდირებისთვის გამოყოფილი ხარჯები ევროკავშირის აგრარული ბიუჯეტის ძირითად ნაწილს შეადგენს, რომელიც თავის

მხრივ, ეკონომიკური კავშირის საერთო ბიუჯეტის ცალკე არსებულ, დომინანტ მიმართულებად ჩამოყალიბდა. მხოლოდ სოფლის მეურნეობის საგარანტიო ფონდის დანახარჯები, 80-იან წლებში ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის 60%-ს შეადგენდა.

ევროკავშირის ბიუჯეტის მზარდი საფინანსო ვალდებულებები და მასობრივი საერთაშორისო წნეხი ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის საფუძვლიანი რეფორმის სტიმულს იძლევა.

აღნიშნულ რეფორმას საფუძველი ჩაეყარა 1992 წელს, ფერმერებისათვის მარცვლეულსა და საქონლის ხორცზე 30%-იანი სუბსიდირებისა და პირდაპირი საშემოსავლო დოტაციების შემოღების ერთობლივი ღონისძიებებით. 1995 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, საქსპორტო ანაზღაურება 2000 წლამდე 36%-ით შემცირდა. 1999 წელს საჭირო გახდა მნიშვნელოვანი სუბსიდიების შემდგომი შემცირება, მსოფლიო საბაზრო ფასთან მისი მიახლოების მიზნით. პარალელურად გაიზარდა პირდაპირი საშემოსავლო დოტაციები. 2003 წელს ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრთა საბჭო შეთანხმდა 2005 წლიდან აგრარული პოლიტიკის სფეროში ერთობლივი მრავლისმომცველი რეფორმის გატარების თაობაზე, რომლის მოქმედების ვადა 2013 წლამდე განისაზღვრებოდა. რეფორმა, ერთი მხრივ, ითვალისწინებდა ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ხარჯების შეზღუდვას, მეორე მხრივ, გადაწედა ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის „მეორე სვეტის“ გაფართოება სოფლის განვითარების ხელშეწყობის გზით, რომლის დაფინანსება უნდა მოხდეს „პირველი სვედიტან“ – წარმოების ტრადიციული წახალისებიდან – გადანაწილების გზით. ამასობაში მარცვლეულის ფასები იმდენად მიუახლოვდა მსოფლიო საბაზრო ფასს, რომ განვითარებად ქვეყნებში მარცვლეულის ექსპორტირებისათვის ექსპორტის სუბსიდირება საჭირო აღარ იყო. აგრარულ სექტორში გატარებული რეფორმის შედეგები ევროკავშირის ბიუჯეტს აშკარად დაეცყო. ორივე სვეტში სოფლის მეურნეობისათვის მთლიანად გაღებული დანახარჯები – ცხადია, ასევე ევროკავშირის გაფართოების ხარჯზეც – ცალსახად გაიზარდა. თუმცა, მისი ხვედრითი წილი ევროკავშირის ბიუჯეტში მნიშვნელოვნად შემცირდა და ევროკავშირის გაფართოების მიუხედავად, 50%-ზე ნაკლები შეადგინა. [31]

### 2.3. საქართველო და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა

გასული ოცი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის მთავრობების პოლიტიკაში სოფლის მეურნეობის სექტორს უმნიშვნელო ადგილი ეკავა, განსაკუთრებით, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ. პრიორიტეტი ენიჭებოდა სექტორებს, რომლებიც სასწრაფო რეფორმებს მოითხოვდა, კერძოდ, ეფექტიან მმართველობას და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობას. საქართველოში სოფლის მეურნეობა განვითარების პრიორიტეტი 2010-2011 წლებში გახდა. 2010 წელს, მას შემდეგ რაც სურსათზე ფასების მკვეთრად ზრდამ აგრო-ინფლაცია გამოიწვია, სოფლის მეურნეობის სექტორზე გადატანილი ახალი აქცენტების შესახებ მრავალჯერ აღნიშნა მაშინდელმა პრეზიდენტმა. შედეგად შეიქმნა 2011-2015 წლებში განვითარების 10-პუნქტიანი გეგმა, რომელიც ბიზნესზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის განვითარებას ითვალისწინებდა, ტრადიციულ შინამეურნეობაზე დაფუძნებულ სოფლის მეურნეობასთან ერთად. ამ მიდგომას მხარი დაუჭირეს ბიზნესის სექტორმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და დონორებმა.

2012 წლის ბოლოდან, მას შემდეგ რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა ქვეყნის სათავეში, აგრარულმა სექტორმა პირველად მიიღო რეალურად აქცენტირებული როლი და დაიწყო სხვადასხვა ტიპის დახმარების პროგრამები.


სანამ დღევანდელი სიტუაციის განხილვაზე გადავალთ, მოკლედ მიმოვიხილავ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ისტორიას.

ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს პარტნიორს წარმოადგენს. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში (დიაგრამა 2.1), სავაჭრო ტვირთბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან გაიზარდა;

საქართველოს აქვს ყველაზე დაბალი ტარიფი ევროკავშირის პროდუქციაზე (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე - 5.57%, სამრეწველოზე - 0.45. 2013 წელს სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის შემცირდა იმპორტის შემცირებისა და ექსპორტის ზრდის შედეგად. 2012 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მთლიანი მოცულობიდან 20% ევროკავშირის ქვეყნებისკენაა მიმართული; ეს მაჩვენებელი 2013 წელს 23%-მდე გაიზარდა. მთლიანად, სასოფლო-სამეურნეო

პროდუქცია საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის 26%-ს შეადგენს, რაც ევროკავშირთან სავაჭრო ტვირთბრუნვის 30%-ია.

დიაგრამა. 2.1. საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული სავაჭრო ტენდენციები (აშშ დოლარში).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=136&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo)

საქართველოს ჩართვამ ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP) სათავე დაუდო ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციის ახალ ეტაპს. 2006 წელს ნოემბერში დამტკიცებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით (ENP AP) თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად სავაჭრო ურთიერთობების განვითარება დაისახა.

სამოქმედო გეგმაში გაიწერა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც მიზნად ისახავდა აღნიშნულ სფეროში ქვეყნის მარეგულირებელი ჩარჩოს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას. საქართველოს მთავრობა ENP AP-ის მოთხოვნათა



შესრულებას 5 წლიანი ვადის ნაცვლად 3 წელიწადში გეგმავდა. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია და შესაბამისი პრაქტიკის საქართველოში დამკვიდრების პროცესი გაჭიანურდა.

ვაჭრობასთან დაკავშირებულ რეფორმებს ახალი იმპულსი მისცა ევროკავშირისა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) დადების პერსპექტივამ, რომელიც 2008 წლის სექტემბერში გამოიკვეთა.

2009 წლის მარტში ევროკომისიამ დაასრულა და ქართულ მხარეს გადასცა DCFTA-ის შესახებ მოლაპარაკებებისათვის საქართველოს მზადყოფნის შეფასების დოკუმენტი და პრიორიტეტულ სფეროებში რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც სრულ შესაბამისობაში იყო ENP AP-ის მოთხოვნებთან.

აღნიშნული რეკომენდაციების ევროკომისიისათვის დამაკმაყოფილებელ დონეზე შესრულებას თითქმის სამი წელი დასჭირდა. ამ პერიოდში ქართულმა მხარემ, ევროკომისიის შესაბამის სამსახურებთან საკმაოდ ცხარე დისკუსიების შემდეგ, სამ პრიორიტეტულ სფეროში:

- ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები (TBT),
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები (SPS) და
- კონკურენციის პოლიტიკა

შეიმუშავა "ყოვლისმომცველი სტრატეგიები" და დაიწყო მათი განხორციელება. გარკვეული ღონისძიებები გატარდა კიდევ ერთ პრიორიტეტულ სფეროში "ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვა" (IPR).

პრიორიტეტულ სფეროებში დასახული მიზნების მიღწევის პროცესში საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ცალკეული ნაბიჯების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, ევროკავშირმა 2011 წლის დეკემბერში მიიღო გადაწყვეტილება DCFTA-ის მოლაპარაკებების დაწყების შესახებ. ამავე პერიოდში ვადა გაუვიდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას, თუმცა, ევროკავშირი და საქართველო შეთანხმდნენ ვადის გაგრძელებაზე მანამდე, სანამ მნიშვნელოვანი პროგრესი არ იქნება მიღწეული ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებებში, რომლის ინტეგრირებულ ნაწილსაც წარმოადგენს DCFTA.

სოფლის მეურნეობის სტრატეგია მნიშვნელოვანი ხარისხითაა ჰარმონიზებული ENPARD -ის ამოცანებთან, რომლის მიზნებია:

- სოფლად ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისათვის და სოფლის მდგრადი განვითარებისათვის ხელშეწყობით;
- სურსათის უსაფრთხოებისათვის ხელშეწყობა ხელმისაწვდომი სურსათის უფრო მდგრადი მიწოდების მეშვეობით და იმავდროულად სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სტანდარტების ამაღლებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მეტი სარგებლის მიღება ექსპორტის ბაზრიდან;
- სოფლის მეურნეობის და სოფლის ადმინისტრირების გაუმჯობესება ინსტიტუციური და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარებით, აგრარული სტრატეგიის შექმნისა და მართვის ჩათვლით.

2012 წლის 28 აგვისტოს ევროპის კომისიამ განცხადება გააკეთა საქართველოში სოფლის მეურნეობისათვის და სურსათის უვნებლობისათვის მხარდაჭერის თაობაზე. აღმოსავლეთი პარტნიორობის ფარგლებში გამოყოფილი იქნება ახალი ფონდები საქართველოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზების მიზნით, შეიქმნება ინსტიტუტები, რომლებიც საქართველოს მოამზადებს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრირებისათვის.

პროგრამის პირველი ნაწილის საფუძველზე დახმარებას მიიღებს საქართველოს აგრარული სექტორი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფერმერთა ასოციაციებს (მწარმოებელთა ორგანიზაციებს). იგი სამთავრობო ინსტიტუტებს დახმარებას გაუწევს უფრო ეფექტიანად უპასუხონ სოფლის ეკონომიკის მოთხოვნებს. იგი ასევე დახმარებას გაუწევს ფერმერთა ასოციაციებს, განამტკიცებს თანამშრომლობას ფერმერთა შორის და გაზრდის სურსათის უვნებლობის ხარისხს ტრენინგებისა და ტექნიკური კონსულტაციების მეშვეობით.

პროგრამის მეორე ნაწილი ხელს შეუწყობს საქართველოში ინსტიტუციურ რეფორმებს და განამტკიცებს სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომლებმაც უნდა მოამზადონ და განახორციელონ ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (პარტნიორობა მოცემულ სივრცეში ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და ევროკავშირის ბაზარზე არსებითად გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობის მიზნით, ასევე,

გაუმჯობესებული საინვესტიციო შესაძლებლობებისთვის) შეთანხმების მომზადება და განხორციელება. ეს მოიცავს კონსულტაციებს და მოლაპარაკებებში ჩართული ინსტიტუტებისთვის დახმარების გაწევას, ასევე ინსტიტუტების აღჭურვას - მაგალითად, სურსათის ეროვნული სააგენტოს აღჭურვას სპეციალიზებული ლაბორატორიებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მომავალში ამ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, განსაკუთრებით, ევროპული ნორმებისა და სტანდარტების დაცვით.

ევროკავშირის 2012 წლის სამოქმედო გეგმით ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) ფარგლებში 60 მილიონიანი ორმხრივი დაბანდება იყო გათვალისწინებული საქართველოსთვის.

აღნიშნული ყოველწლიური სამოქმედო პროგრამა ორ კომპონენტს მოიცავს:

1) ENPARD საქართველო (40 მილიონი ევრო): პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზრდა და სოფლის განვითარება. იგი ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებას და მცირე ფერმერთა ასოციაციების განმტკიცებას. იგი ასევე ხელს უწყობს ქვეყანაში სურსათის უვნებლობის სისტემის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის თვალსაზრისით.

2) ევროკავშირი-საქართველოს ხელშეკრულებების მხარდაჭერა (20 მილიონი ევრო): ტექნიკური და საკოორდინაციო შესაძლებლობათა განმტკიცება რამდენიმე ძირითად ინსტიტუტში, რომლებიც მოამზადებენ, ხოლო შემდეგ განახორციელებენ ასოციირების ხელშეკრულებას და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ ხელშეკრულებას. ეს არის აღმოსავლეთი პარტნიორობის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური მშენებლობის ნაწილი.

პროგრამა განამტკიცებს არსებულ აქტივებს (ანუ, დაწვევებს, TAIEX - ტექნიკური დახმარების და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი, SIGMA - მმართველობისა და მართვის გაუმჯობესების მხარდაჭერა, ასევე, ტექნიკური დახმარება). [50]

**ამჟამად მიმდინარე პროგრამები და დონორები:** საქართველოს მთავრობა და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია შვიდ პრიორიტეტულ სფეროში თანამშრომლობს (CPF 2010–2015):

1. პოლიტიკა და ინსტრუმენტები სოფლის განვითარებისა და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდასაჭერად;
2. ცხოველთა ჯანმრთელობა და პროდუქტიულობა;
3. სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება და მცენარეთა დაცვა;
4. სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა დაცვა;
5. მიწის რესურსების მენეჯმენტი და მიწათსარგებლობა;
6. მეტყვეობა;
7. თევზჭერისა და აკვაკულტურის განვითარება.

ევროკომისიის/სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის საინფორმაციო სისტემების პროგრამა მიზნად ისახავს სურსათის უვნებლობის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებას ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ სივრცეში - DCI FOOD 2009/233-068. სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღიარებს ხარისხიანი ინფორმაციის მნიშვნელობას სურსათის უსაფრთხოების სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის. პროგრამა ხელს უწყობს და ეხმარება მუდმივი დისკუსიის წარმოებას ინფორმაციის მწარმოებელ ინსტიტუტებთან, განსაკუთრებით ჯეოსტატთან და ბაზრის კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტთან, რათა სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილების მიმღები პირები საიმედო ანალიზით იყვნენ უზრუნველყოფილნი.

გაეროს განვითარების დახმარების სქემა (UNDAF) (2011-2015) საკონსულტაციო პროცესის შედეგად შეიქმნა და იგი აღწერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის სფეროებს 2011-2015 წწ. იგი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ეროვნული განვითარების პრიორიტეტებთან, რომლებიც დადგინდა პროგრამისთვის „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, ასევე ათასწლეულის განვითარების ეროვნულ მიზნებთან (MDGs) და სხვა ძირითად დოკუმენტებთან.

როგორც აღვნიშნეთ, ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და მისი წილი იმპორტის საერთო მოცულობაში 30%-ს, ხოლო ექსპორტისა - 20%-ს შეადგენს, რაც მუდმივად უარყოფით სავაჭრო ბალანსს განაპირობებს.

სხვა (ძირითადად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი) ქვეყნებისგან განსხვავებით, ვაჭრობის, განსაკუთრებით კი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის ხელისშემშლელი ფაქტორებია, ერთი მხრივ, მაღალი ტარიფები, ხოლო, მეორე მხრივ, არასატარიფო ღონისძიებებით გამოწვეული დაბრკოლებები. ამ კონტექსტში, ასოცირების შეთანხმების პარაფირება, როგორც საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმების რატიფიცირების პირველი ნაბიჯი, ხოლო მეორე მხრივ, შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, როგორც ასოცირების შეთანხმების ნაწილი, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად შეამცირებს სავაჭრო ბარიერებს ქართული პროდუქციის გატანისას და შექმნის ახალ შესაძლებლობებს, როგორც საგარეო ვაჭრობის მომდევნო დივერსიფიცირებისა და განვითარების, ასევე ვაჭრობის შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდის თვალსაზრისით. წინასწარი გამოთვლებით, DCFTA-ს ამოქმედების შედეგად გენერირებული ეკონომიკური სარგებელი მთლიანი შიგა პროდუქტის 6,5%-მდე გაზრდას გამოიწვევს.

მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტის მოცულობა საშუალოდ 13,5%-ით გაიზრდება. ყველაზე მაღალი - 55%-ით - ნავარაუდევია საფეიქრო მრეწველობის (ტექსტილის წარმოების) ზრდა, ხოლო ხილის, ბოსტნეულის, კვების პროდუქტებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების ზრდა ნავარაუდევია 4%-ით. [12]

უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ზაფხულში ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ აუცილებელია შეთანხმების რატიფიცირება ევროპის ყველა წევრი ქვეყნის მიერ, რაც საკმაოდ დროს მოითხოვს. აღნიშნულ რატიფიცირებამდე ამოქმედდება შეთანხმების გარდამავალი დებულებები. DCFTA საბოლოოდ ჩაანაცვლებს GSP + პრეფერენციათა სისტემას, თუმცა, გარდამავალ პერიოდში, პირველი ორი წლის განმავლობაში, ეს ორი რეჟიმი ერთდროულად იქნება ძალაში.

როგორც მსო-ს წევრები, საქართველო და ევროკავშირი იყენებენ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით დადგენილ სატარიფო განაკვეთს. მეტიც, GSP+ რეჟიმი ვრცელდება ევროკავშირის საბაჟო სატარიფო კოდით აღნიშნული პროდუქტების დაახლოებით 66%-ზე; შესაბამისად, აღნიშნული რეჟიმი უზრუნველყოფს გაუმჯობესებულ წვდომას, ძირითადად, საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებას


